GIPA
In hoc signo vinces

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

# მმართველობის სკოლა

# ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| პროგრამის სახელწოდება | ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა |
| კრედიტების რაოდენობა: | 180 კრედიტი |
| სწავლის წლიური საფასური: | 4700 |
| პროგრამის ხელმძღვანელები: | გიორგი თურქია<br>ვანო ცერცვაძე |
| პროგრამის კოორდინატორი | ქეთი გელაშვილი<br>k.gelashvili@gipa.ge<br>+995 557 567 257 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

**ბიზნესის ადმინისტრირების** საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა; ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი (მათემატიკა, ისტორია).

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

**ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:**

- ფართო ცოდნა ბიზნესის ძირითადი თავისებურებებისა და პრინციპების შესახებ.
- ფართო ცოდნა ბიზნესის შესაბამის მიმართულებებში - ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, პროექტის მართვა.

**ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:**

- ბიზნესის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები: კომუნიკაციის უნარი, ბაზრის ანალიზის, ფინანსური დოკუმენტაციის შექმნის, პროექტების მართვის უნარები;
- ბიზნესის სფეროში პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასებისთვის, ანალიზისთვის, არგუმენტირებული მსჯელობისთვის, დასაბუთებისთვის, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;

**ბიზნესის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს:**

- სპეციალისტი, რომელიც პროფესიული ეთიკისა და ბიზნეს ღირებულებების გათვალისწინებით შეძლებს საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, დაინტერესებული მხარეების ჩართვას, გადაჭრის გზების მოძიებას და ალტერნატივების განსაზღვრას, გადაწყვეტილების მიღებასა და მის განხორციელებას.

## *სწავლის შედეგები:*

| | |
|---|---|
| **სწავლის შედეგი 1** | განიხილავს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებების - ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, პროექტის მართვის, ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს; |
| **სწავლის შედეგი 2** | ბიზნესის ეფექტური ადმინისტრირებისთვის განსაზღვრავს რესურსების ეფექტური გამოყენების, გარემოს ანალიზის, ორგანიზაციის შიდა ანალიზის, მოტივაციის თეორიების გამოყენებისა და მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის საჭიროების მნიშვნელობას; |
| **სწავლის შედეგი 3** | აღწერს ბიზნეს გარემოს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებს და ბიზნეს პროცესებს; |
| **სწავლის შედეგი 4** | რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით აანალიზებს ორგანიზაციის საქმიანობას და ბაზარს; |
| **სწავლის შედეგი 5** | შეიმუშავებს ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებსა და რეკომენდაციებს; |

**სწავლის შედეგი 6** აანალიზებს ბიზნეს ღირებულებას, იყენებს ბიზნესის ზრდის შეფასების მეთოდებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს;

**სწავლის შედეგი 7** აიდენტიფიცირებს ბიზნესთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს და შეიმუშავებს იდენტიფიცირებული რისკების მართვის გზებს;

**სწავლის შედეგი 8** წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად გეგმავს და ატარებს ბიზნესთან დაკავშირებულ პრაქტიკული ხასიათის კვლევებს, შეიმუშავებს პროექტებს და წარადგენს მათ პროფესიული და არაპროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან;

**სწავლის შედეგი 9** ეფექტურად მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, პროფესიულ საქმიანობას წარმართავს ეთიკურად, როგორც ლიდერის, ისე გუნდის წევრის პერსპექტივიდან, ასრულებს და გასცემს სხვადასხვა სირთულის დავალებას;

**სწავლის შედეგი 10** თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით ეფექტურად აწარმოებს როგორც წერილობით, ისე ზეპირ კომუნიკაციას;

**სწავლის შედეგი 11** პროფესიულ საქმიანობას წარმართავს ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმების/პრინციპების გათვალისწინებით;

**სწავლის შედეგი 12** შემდგომში პროფესიული განვითარებისთვის განსაზღვრავს და გეგმავს ცოდნისა და დარგობრივი უნარების მუდმივად განახლების საჭიროებებს.

# ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/Master of Business Administration |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| სწავლის წლიური საფასური: | 7500 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ნიკოლოზ აბუაშვილი<br>გიორგი თურქია |
| პროგრამის კოორდინატორი | სალომე ჟორჟოლიანი<br>s.jorjoliani@gipa.ge<br>+995 596 99 99 97 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და სურთ სწავლა გააგრძელონ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- შიდა პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- პროგრამის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე):
  - ინგლისური ენის გამოცდიდან განთავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს ((TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე;
- ზეპირი გამოცდა/გასაუბრება სპეციალობაში, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის დარგობრივი ცოდნა:
  - საგამოცდო საკითხების ნიმუში (ინგლისურ ენასა და სპეციალობაში) წინასწარ განთავსდება უმაღლესი საგანმანათლებ ლო დაწესებულებების ვებ გვერდებზე.

სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია „უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224/ ნ ბრძანებით გათვალისწინებული შემდეგი პირებისთვის:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის „დ1“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამის ად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

## *პროგრამის მიზანი:*

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მეწარმე-მენეჯერები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ პრობლემური ორგანიზაციების გამართვასა და კერძო, საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტას და ორგანიზაციების ღირებულების ზრდას.

აღნიშნულის მისაღწევად, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა:**

- ბიზნესის ძირითად მიმართულებებში: მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, ოპერაციები ;

**ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:**

- კროს-დისციპლინარული მიდგომით პრობლემების გადაწყვეტისა და მტკიცებულებებზე დამყარებული მიგნებების საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული გამოწვევების მართვის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, პრობლემის გადაწყვეტისას შედეგებზე ორიენტირებული ხედვის ჩამოყალიბების, სტრატეგიისა და გეგმის განსაზღვრის, განხორციელებისა და არგუმენტირებული დასკვნის უნარი;
- სფეროს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განუვითაროს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის, რელევანტური დასკვნების შემუშავებისა და მათი საზოგადოებისთვის ეფექტურად წარგდენის უნარები;

- მულტიდისციპლინურ გარემოში პროფესიული ეთიკური ნორმებისა და პრინციპების დაცვით გუნდური და დამოუკიდებლი მუშაობისა და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და პროფესიული ზრდისკენ მუდმივი სწრაფვის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული არის:**

**სწავლის შედეგი 1** - სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი მიმართულებების თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოს - ორგანიზაციული მეწარმეობის, მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების, ოპერაციების, ფინანსების, მარკეტინგისა და  პროექტების მართვის პრინციპებს, თეორიებს, მიდგომებსა და მოდელებს;

**სწავლის შედეგი 2** - კრიტიკულად და არგუმენტირებულად მსჯელობს ბიზნესის სტრატეგიების, ლიდერობის, ორგანიზაციის ოპერაციებისა და რესურსების მართვის საკვანძო საკითხებზე;

**სწავლის შედეგი 3** - გარემოზე დაკვირვებით აანალიზებს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს, ტენდენციებს, არჩევს მართვის ეფექტურ მოდელს, შეიმუშავებს ორგანიზაციის ხედვას, სტრუქტურას და ორგანიზაციული კულტურის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას განვითარების სტრატეგიაზე;

**სწავლის შედეგი 4** - უცნობ და მულტი დისციპლინურ გარემოში როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად შეიმუშავებს პროექტებისა და ინიციატივების მიზნებსა და ნიშნულებს, განსაზღვრავს მათი მიღწევისთვის ქმედებების თანმიმდევრობასა და რესურსების გეგმას.

**სწავლის შედეგი 5** - ახდენს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, აანალიზებს კომპანიის წინაშე არსებულ ძირითად რისკებს, შეიმუშავებს ბიზნეს გეგმას, რისკების მართვის სისტემას და ორიგინალური გზებით (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით) იღებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწვეტილებებს და აფასებს ამ გადაწყვეტილებების გავლენას ორგანიზაციის შედეგებსა და ღირებულების ზრდაზე.

**სწავლის შედეგი 6** - რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის გამოყენებით იღებს მტკიცებულებებზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს.

**სწავლის შედეგი 7** - დამოუკიდებლად მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და წარდგენის გზით, იფართოებს ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით და დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლისა და განვითარების საჭიროებებს.

**სწავლის შედეგი 8** - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ეთიკის სტანდარტების დაცვით, დამოუკიდებლად აორგანიზებს და წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელ კვლევას, შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და არგუმენტირებულად ასაბუთებს გადაწყვეტილებებს.

**სწავლის შედეგი 9** - თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ეფექტურად წარადგენს ზეპირი და წერილობითი ფორმით კვლევის შედეგებს, მიგნებებს, არგუმენტებს და დასკვნებს როგორც აკადემიური ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის.

**სწავლის შედეგი 10** - თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს ეთიკისა და ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას და მოქმედებს ეთიკური ღირებულებების დაცვით.

# საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | საჯარო მმართველობის მაგისტრი/Master of Public Administration |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| სწავლის საფასური: | 7000 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ნანა მაჭარაშვილი,<br>ცირა ელისაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი | მარიამ დოთიაშვილი<br>m.dotiashvili@gipa.ge<br>+995 598 735 474 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს აკადემიური ხარისხი საჯარო მმართველობაში, სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საჯარო მმართველობის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

**1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი აღნიშნულ სფეროში;**

**2) საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;**

**3) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა:** მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE). ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

**4) გასაუბრება მისაღებ კომისიასთან,** რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა საჯარო მმართველობის დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამასთან.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

## *პროგრამის მიზანი:*

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- სიღრმისეული ცოდნა საჯარო მმართველობის ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდების, მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ მენეჯერული, სამართლებრივი, ეკონომიკური და საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების პერსპექტივების გათვალისწინებით;
- სისტემური ცოდნა ცენტრალურ დონეზე საჯარო მმართველობის ორგანიზების, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ადამიანური რესურსების, საჯარო ფინანსების, საჯარო სერვისების მართვისა და ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მიმართულებით

სტრატეგიული და ოპერაციული დონის გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც ეფუძნება მდგრადი განვითარების მიზნებს, რისკ-ფაქტორების და რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ) და ეფექტიან გამოყენებას;

- საჯარო მმართველობის სფეროში საზოგადოებრივი პრობლემური საკითხების სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით მართვისა და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების უნარი, ასევე მათი რეალიზაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენების უნარი;
- კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით საჯარო მმართველობის სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების წარდგენის უნარი;
- საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდური მუშაობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის აღების უნარი როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე.

## *სწავლის შედეგები:*

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

1. სიღრმისეულად აღწერს საჯარო მმართველობის ორგანიზების, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ადამიანური რესურსების, საჯარო სერვისებისა და საჯარო ფინანსების მართვის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების

საკვანძო პრინციპებსა და კონცეფციებს, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, კარგი მმართველობის სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკებს და მათ ეკონომიკურ, სამართლებრივ და მენეჯერულ თავისებურებებს.

2. შედარებითი საჯარო მმართველობისა და საერთაშორისო საუკეთესო, მათ შორის ევროკავშირის, პრაქტიკებზე დაყრდნობით განიხილავს საჯარო მმართველობის რეფორმირების გამოცდილებებს და განსაზღვრავს საჯარო მმართველობის დარგობრივი მიმართულების ადმინისტრირების მექანიზმების ძირითად სტანდარტებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და თავისებურებებს.

**უნარები**

3. საჯარო მმართველობის სფეროში როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე გამოკვეთს პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს და საჯარო პოლიტიკის ანალიზის ეკონომიკური, მათ შორის რეგულირების ზეგავლენის შეფასების, და არაეკონომიკური ანალიტიკური ინსტრუმენტების საფუძველზე ირჩევს ოპტიმალურ გადაწვეტილებას და ქმნის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებს მათ შორის სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშებს.

4. საჯარო მმართველობის თითოეული მიმართულების მართვის პროცესში ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების მიზნებით, რისკ-ფაქტორებისა და რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, მატერიალური,

ფინანსური და ა.შ) ეფექტიანი გამოყენების პრინციპით საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის კვლევით ნაშრომს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებზე და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით წარუდგენს კვლევის შედეგებს.

6. კრიტიკულად აანალიზებს სახელმწიფოს ფინანსური სისტემის რეგულირებისა და ფუნქციონირების თავისებურებებსა და სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ურთიერთმიმართებებს და იყენებს მათი რეალიზებისა და შეფასების ინსტრუმენტებს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

7. პროექტების მართვის სრულ ციკლსა და ოპერაციული მენეჯმენტის პრინციპებზე დაყრდნობით, აანალიზებს არსებულ საჯარო სერვისებს და ახდენს მათ შეფასებას, მოდიფირებასა და მოდელირებას, მათ შორის ციფრული მმართველობისა და ღია მმართველობის სტანდარტებზე დაყრდნობით.

8. აანალიზებს და აფასებს საჯარო უწყებების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკას, მათი საქმიანობის, ორგანიზების, დაგეგმვის, უზრუნველყოფის, მონიტორინგის, შეფასების, საზოგადოებრივი კომუნიკაციებისა და ჩართულობის და შესაბამისი ადამიანური რესურსების განვითარების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომელიც უზრუნველყოფს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, ერთიანი საჯარო სამსახურის განვითარებას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

9. საჯარო მმართველობის დარგობრივ მიმართულებებში არსებული კომპლექსური სოციეტალური პრობლემების მართვის პროცესში ხელმძღვანელობს ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმებით/ღირებულებებითა და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებით, ადამიანის უფლებების დაცვის, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციებითა და საუკეთესო პრაქტიკებით, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას პრობლემების გადასაჭრელად.

10. საჯარო მმართველობის სფეროში სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებებს.

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელიკვალიფიკაცია: | საჯარო მმართველობის მაგისტრი/Master of Public Administration |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| 2 წლის სწავლის საფასური: | 7000 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ალექსანდრე სვანიშვილი<br>ცირა ელისაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი | ცირა ელისაშვილი<br>ts.elisashvili@gipa.ge<br>+995 599 706 377 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს აკადემიური ხარისხი საჯარო მმართველობაში, სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საჯარო მმართველობის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

**1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი აღნიშნულ სფეროში;**

**2) საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;**

**3) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა:** მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE). ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

**4) გასაუბრება მისაღებ კომისიასთან,** რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა ადგილობრივი თვითმმართველობისა და საჯარო მმართველობის დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამასთან.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

## *პროგრამის მიზანი:*

ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

1. სიღრმისეული ცოდნა საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდების, მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ მათი მენეჯერული, სამართლებრივი, ეკონომიკური და საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების პერსპექტივების გათვალისწინებით;

2. სისტემური ცოდნა ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის დარგობრივი მიმართულებების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ძირითადი პრინციპების და დეცენტრალიზებული მართვის სპეციფიკის შესახებ, რომელიც ეფუძნება ადგილობრივი თვითმმართველობის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების, ევროპული ქარტიის, ევროკავშირის მრავალდონიანი მმართველობისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ჩართულობის პრინციპს;
3. ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის ორგანიზების, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსური მენეჯმენტის, საჯარო სერვისების მართვის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების სფეროში მენეჯერული უნარები, ასევე რელევანტური ინსტრუმენტების გამოყენებით ადგილობირვი თვითმმართველობის დონეზე პოლიტიკის ანალიზის, შემუშავებისა და შეფასების უნარი;
4. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით საჯარო მმართველობის სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების წარდგენის უნარი;
5. საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მოქმედი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდური მუშაობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის აღების უნარი როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე.

## *სწავლის შედეგები:*

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის კურსდამთავრებული:

***ცოდნა და გაცნობიერება***

1. სიღრმისეულად აღწერს საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ადამიანური რესურსების, საჯარო/მუნიციპალური სერვისებისა და საჯარო ფინანსების მართვის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების საკვანძო პრინციპებსა და კონცეფციებს, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, კარგი მმართველიბის სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკებსა და მათ ეკონომიკურ, სამართლებრივ და მენეჯერულ თავისებურებებს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

2. შედარებითი საჯარო მმართველობისა და ევროკავშირის მრავალდონიანი მმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით სისტემურად განიხილავს საჯარო მმართველობის რეფორმირების გამოცდილებებს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე და განსაზღვრავს საჯარო მმართველობის დარგობრივი მიმართულების ადმინისტრირების მექანიზმების ძირითად მახასიათებლებსა და ადმინისტრაციული წარმოების სახეებს.

***უნარები***

3. საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში აიდენტიფიცირებს პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს და საჯარო პოლიტიკის ანალიზის ეკონომიკური, მათ

შორის რეგულირების ზეგავლენის შეფასების, და არაეკონომიკური ანალიტიკური ინსტრუმენტების საფუძველზე ირჩევს ოპტიმალურ გადაწვეტილებას მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებისა და კოორდინაციის პროცესის მხარდასაჭერად და ქმნის შესაბამის, მათ შორის ადგილობრივი დონის პოლიტიკის დოკუმენტებს - საშუალოვადიანი განვითარების მუნიციპალურ სტრატეგიებს, პრიორიტეტების დოკუმენტს.

4. როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის თითოეული მიმართულების შეფასებისა და შესაბამისი პროცესების ადმინისტრირებისას ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების მიზნებით, რისკ-ფაქტორებისა და რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ) ეფექტიანი გამოყენების პრინციპით საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის კვლევით ნაშრომს ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემურ საკითხებზე და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებას წარუდგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით.

6. კრიტიკულად აანალიზებს სახელმწიფოს ფინანსური სისტემის  რეგულირებისა და ფუნქციონირების თავისებურებებს, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ურთიერთმიმართებებს, ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესის რეალიზებისა და შეფასების ინსტრუმენტებს.

7. როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, პროექტების მართვის სრულ ციკლსა და ოპერაციული მენეჯმენტის პრინციპებზე დაყრდნობით, აანალიზებს არსებულ საჯარო სერვისებს და ახდენს მათ შეფასებას, მოდიფიცირებასა და მოდელირებას, მათ შორის ციფრული მმართველობისა და ღია მმართველობის სტანდარტებზე დაყრდნობით.

8. როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე აანალიზებს და აფასებს  საჯარო უწყებების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკას, მათი საქმიანობის ორგანიზების, დაგეგმვის, უზრუნველყოფის, მონიტორინგის, შეფასების, შესაბამისი ადამიანური რესურსების განვითარების,  საზოგადოებრივი კომუნიკაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის მეთოდებსა  და ინსტრუმენტებს, რომელიც უზრუნველყოფს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, ერთიანი საჯარო სამსახურის ერთიანი საჯარო სამსახურის განვითარებას.

***<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u>***

9. აღიარებს და პატივს სცემს საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მოქმედ პროფესიულ სტანდარტებს, კარგი მმართველობის პრინციპებს და ადამიანის უფლებების დაცვის, კონსტიტუციური წესრიგისა და

დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არსებული კომპლექსური სოციეტალური პრობლემების გადასაჭრელად.

10. ადილობრივი თვითმმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით საჯარო მმართველობის სფეროში დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებებს.

# გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | საჯარო მმართველობის დოქტორი/ PhD in Public Administration |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| სწავლის საფასური (2 წლის): | 7000 |
| პროგრამის ხელმძღვანელები: | კახა არცივაძე<br>მაია ზავრაშვილი<br>ნანა მაჭარაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი: | ნუცა მინდიაშვილი<br>n.mindiashvili@gipa.ge<br>+995 593 280 770 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს აკადემიური ხარისხი საჯარო მმართველობაში, სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მედიცინაში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა გარემოს დაცვის მენეჯმენტის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1) **ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი აღნიშნულ სფეროში;**
2) **საერთო სამაგისტრო გამოცდების ზღვრის გადალახვა;**
3) **ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა:** მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE). ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.
4) გასაუბრება მისაღებ კომისიასთან: რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა გარემოს დაცვით მენეჯმენტის დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამასთან. დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის No 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

***პროგრამის მიზანი:***

გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტროსამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

1. სიღრმისეული ცოდნა გარემოს დაცვის მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდების, მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ მენეჯერული, სამართლებრივი, ეკონომიკური და საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების მართვის საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით;
2. სისტემური ცოდნა გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემასა და დემოკრატიული მმართველობის, გარემოს დაცვის საკვანძო პრინციპებსა და კონცეფციებს, გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტებს, გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების მიმართულებით სტრატეგიული და ოპერაციული დონის გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც ეფუძნება მდგრადი განვითარების მიზნებს, რისკ-ფაქტორების და რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ) და ეფექტიან გამოყენებას;

3. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროში გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტებისა და საზოგადოებრივი პრობლემური საკითხების სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით მართვისა და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების უნარი, ასევე მათი რეალიზაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენების უნარი.
4. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების წარდგენის უნარი;
5. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროში მოქმედი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდური მუშაობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის აღების უნარი როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე.

## *სწავლის შედეგები:*

გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის პროგრამის კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

1. სიღრმისეულად აღწერს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემასა და დემოკრატიული მმართველობის, გარემოს დაცვის საკვანძო პრინციპებსა და კონცეფციებს, გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტებს, გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, მართვის შესაბამის სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკებს და მათ ეკონომიკურ, სამართლებრივ და მენეჯერულ

თავისებურებებს და განსაზღვრავს გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტების ძირითად მახასიათებლებს, მათ მნიშვნელობასა და მათი გავლენის საზღვრებს.

2. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და აღწარმოების, ნარჩენების რეგულირების/რეციკლირების, ქიმიური, ბირთვული, ბიოლოგიური და რადიაციული ნარჩენების, განახლებადი ენერგიისა და ალტერნატიული ენერგიის წყაროების მართვისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის, სათბური აირების ემისიების შემცირების მენეჯმენტის სპეციფიკას და შესაბამისი გეგმებისა და ღონისძიებების მოქმედების არეალს.

**უნარები**

3. შეიმუშავებს გარემოს დაცვის შესაბამის მიმართულებებში რელევანტურ სტრატეგიებს, გარემოს დაცვის გეგმებს, პროგრამებსა და პროექტებს, გარემოსდაცვითი პრობლემების/რისკების შემცირებისა და აღმოფხვრის სარეკომენდაციო წინადადებებს საჯარო პოლიტიკის ანალიზის პრინციებსა (პოლიტიკის დოკუმენტებს) და ადამიანური, ფინანსური, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტური გამოყენების პრინციპებზე დაყრდნობით.

4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში არსებული გამოწვევებისა და მოსალოდნელი საფრთხეების/რისკების იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის იყენებს გარემოსდაცვითი მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა გზშ, სგშ, რზშ, გარემოსდაცვითი აუდიტი და მონიტორინგი, გის-ი და სხვა და გარემოს დაცვის

მენეჯმენტის თითოეული მიმართულების მართვის პროცესში ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების მიზნებით და რისკ-ფაქტორებით როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის კვლევით ნაშრომს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროსთვისთვის რელევანტურ პრობლემურ საკითხებზე და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით წარუდგენს კვლევის შედეგებს.

6. გარემოსდაცვითი განათლებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების სტანდარტების დაცვით ამყარებს კომუნიკაციას და წარუდგენს არგუმენტირებულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებსა და ანალიტიკურ დოკუმენტაციას, მათ შორის ანგარიშებს, როგორც შესაბამის პროფესიულ საზოგადოებას, ისე დაინტერესებულ მხარეებსა და ფართო საზოგადოებას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

7. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემისა და დემოკრატიული მმართველობის, გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტების, გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების

მიმართულებებით არსებული კომპლექსური პრობლემების მართვის პროცესში ხელმძღვანელობს ეთიკური ნორმებით, გარემოს დაცვის პრინციპებით, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით, გარემოსდაცვითი საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციებითა და სტანდარტებით.

8. სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით გარემოს დაცვის მენეჯმენტის შესაბამის მიმართულებებში დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების და უწყვეტი კარიერული ზრდის საჭიროებებს.

# გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისა და ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ერთობლივი „გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ინგლისური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი/Master of Public Health |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| სწავლის წლიური ღირებულება საქართველოს მოქალაქეებისთვის:<br>სწავლის წლიური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის: | 3800 GEL<br>5000 $ ექვივალენტი ლარში |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ვანო ცერცვაძე<br>ლელა სტურუა |
| პროგრამის კოორდინატორი | ნათია ტორონჯაძე<br>ტელ:558 121 211<br>ელ.ფოსტა: tma@tma.edu.ge |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და სურთ სწავლა გააგრძელონ გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულებით.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- შიდა პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:
- დოკუმენტაციის ანალიზი
    - კანდიდატის მიერ შევსებული სააპლიკაციო ფორმის ანალიზი, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას;
- პროგრამის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე).
    - გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს (TOEFL, ILETS) ან დასრულებული აქვთ ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე
- გამოცდა სპეციალობაში, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის დარგობრივი ცოდნა.
    - საგამოცდო საკითხების ნიმუში (ინგლისურ ენასა და სპეციალობაში) წინასწარ განთავსდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ გვერდებზე.

სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224/ ნ ბრძანებით გათვალისწინებული შემდეგი პირებისთვის:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის „დ1“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

## *პროგრამის მიზანი:*

პროგრამის მიზანია მოამზადოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტები, რომლებიც განახორციელებენ პრაქტიკულ საქმიანობას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა მიმართულებით, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სფეროში. ასევე პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისის ცოდნის მქონე სპეციალისტები.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- სისტემური და სიღრმისეული ცოდნა და პრაქტიკული უნარები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტრუმენტების (ეპიდემიოლოგია, ბიოსტატისტიკა, ქცევითი მეცნიერებები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და კომუნიკაცია) გამოყენების გზით.
- გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში განუვითაროს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციისა და რელევანტური დასკვნების შემუშავების უნარები სფეროს უახლესი მეთოდებისა და მიღწევების გამოყენებით.

- საკვლევი განაცხადის მომზადებისა და პროექტის შემუშავების, დაგეგმვისა და მართვის უნარები რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ინტერდისციპლინარული სწავლების მეთოდების გამოყენებითა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის საშუალებით .
- მტკიცებულებებზე დამყარებული მიგნებების საფუძველზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების შესაბამისი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების უნარი; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის/ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოლიტიკისა და პროგრამების შეფასების, შედეგების კომუნიკაციისა და ადვოკატირების უნარები.

## *სწავლის შედეგები:*

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

<u>მაგისტრი:</u>

**სწავლის შედეგი 1** – სიღრმისეულად განსაზღვრავს ქცევითი, ბიოლოგიური, სოციალური კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

**სწავლის შედეგი 2** - სიღრმისეულად განსაზღვრავს და გამოკვეთს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ და სამეცნიერო გზებს.

**სწავლის შედეგი 3** - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დისციპლინების ჭრილში სისტემურად აღწერს განსხვავებული მიდგომების ძლიერ და სუსტ მხარეებს.

<u>**ულარი:**</u>

<u>მაგისტრი:</u>

**სწავლის შედეგი 4** - ამზადებს კვლევის გეგმას, სისტემურად აანალიზებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს ბიოსტატისტიკური, ეპიდემიოლოგიური მეთოდების და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

**სწავლის შედეგი 5 -** ფინანსების მართვის პრინციპებზე და თეორიებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად ადგენს ბიუჯეტს, სისტემურად ახორციელებს დანახარჯების კლასიფიკაციასა და ანალიზს, ახდენს ფინანსურ პროგნოზირებას და არჩევს საუკეთესო ალტერნატივას.

**სწავლის შედეგი 6 -** შეიმუშავებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის მართვის, მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმებს და გეგმავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკას, პროგრამას, პროექტს ან ინტერვენციას მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით.

**სწავლის შედეგი 7 -** თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინგლისურ ენაზე საკუთარ დასკვნებს არგუმენტებს და კვლევის შედეგებს წარადგენს, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის
სტანდარტების დაცვით.

<u>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**</u>

<u>მაგისტრი:</u>

**სწავლის შედეგი 8 -** პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ნორმების დაცვით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად.

**სწავლის შედეგი 9 -** დამოუკიდებლად აყალიბებს სამომავლო ხედვას, გუნდური მუშაობის პროცესში ახდენს მოვალეობების დელეგირებასა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას და იყენებს ლიდერობის, ხელმძღვანელობისა და მართვის პრინციპებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

GIPA
In hoc signo vinces

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

# სამართლის სკოლა

# სამართლის საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით: | 240 კრედიტი |
| უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: | ბაკალავრიატი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 4500 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ირაკლი სოკოლოვსკი |
| პროგრამის კოორდინატორი | ნატალია მაკარიძე<br>n.makaridze@gipa.ge<br>(+995) 577 228 075 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით

ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს:**

- ფართო თეორიული ცოდნა სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- ფუნდამენტური ცოდნა საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულების;
- საერთაშორისო სამართლის სისტემის, ინსტიტუტებისა და პრინციპების ცოდნა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **გამოუმუშაოს:**

- სამართლის (კერძო, სისხლის და საჯარო) სფეროში წარმოშობილი კომპლექსური და გაუთვალისწინებელი საკითხების ანალიზისა და შეფასების, მათი გადაწყვეტის გზების მოძიების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების წერილობითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარი, შესაბამისი საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- სამართლის ნორმების, სხვადასხვა სამართლებრივი წყაროების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, საქმის გარემოებებიდან რელევანტური ფაქტების დადგენის, მათი სამართლებრივი ანალიზის და არგუმენტაციის, პოზიციის დასაბუთების და შესაბამისი იურიდიული მოქმედებების განხორციელების უნარი;
- მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების, მათი პრაქტიკაში გამოყენების, დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და პრაქტიკის, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- პროფესიული ეთიკის და ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

***ცოდნა და გაცნობიერება:***

ბაკალავრი აღწერს:

A) სამართლის არსს, სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლის განმარტების მეთოდებს, სამართლის გამოყენებისა და შეფარდების პრინციპებს, ქართული სამართლის წყაროებსა და ინსტიტუტებს, ქართული სამართლის განვითარების ქრონოლოგიას, ძირითად თეორიებს, წესებს და რეგულირების თავისებურებებს სამართლის შემდეგ სფეროებში:

სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს, ადამიანის უფლებების საკითხებსა და კონცეპტუალურ პრინციპებს, ამ უფლებების მოწესრიგების პოსტულატებს და დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, ადმინისტრაციული და საჯარო მმართველობის ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს, პრინციპებსა და სტადიებს. საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და სისტემას, საერთაშორისო სამართლის წყაროებს და ინსტრუმენტებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის მიმართების საკითხებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმებს.

კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილისთვის დამახასიათებელ ცნებებსა და კონცეფციებს, სანივთო სამართლის პრინციპებსა და ცნებებს, ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილს, ხელშეკრულებების ტიპებსა და კანონისმიერი ვალდებულებების პრინციპებს, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის ცნებებს, შრომის სამართლის ძირითადად პრინციპებსა და შრომის უფლების დაცვის ინსტრუმენტებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებს და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს და სტადიებს, სასამართლოში საქმის განხილვის მნიშვნელოვან ასპექტებს, სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს და გადაწყვეტის გზებს.

სისხლის სამართლის სისტემას, პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს.

***უნარი:***

ბაკალავრი:

B) აიდენტიფიცირებს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემას, სამართლის მეთოდოლოგიის გამოყენებით შეიმუშავებს გადაწყვეტის შესაბამის გზებს და აყალიბებს შესაბამის სამართლებრივ არგუმენტაციას წერილობითი და ზეპირი ფორმით; სამართლებრივი არგუმენტაციის პროცესში იყენებს ფორმალური ლოგიკის ძირითად პრინციპებს;

C) კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადასაწყვეტად აანალიზებს და აკავშირებს სამართლის სხვადასხვა სფეროში არსებულ ნორმებს წყაროებსა და მეთოდებს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასების შედეგად ასაბუთებს სამართლებრივ დავაში საკუთარ პოზიციას;

D) ადგენს სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს, კერძოდ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს, სამართალშეფასებით აქტებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საპროცესო დოკუმენტებს, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს, შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიას, კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორების გათვალისწინებით;

E) მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, წინასწარგანსაზღვრული მითითების შესაბამისად შეიმუშავებს სამართლის სხვადასხვა სფეროში კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტს და საკუთარ მოსაზრებებს წარადგენს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით;

F) მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე, კერძოდ ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო სიახლეებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო ნაშრომებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემის, ეროვნული საკანონმდებლო სისტემების და სხვა მონაცემთა ბაზების მეშვეობით.

***პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:***

ბაკალავრი:

G) ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს და შეუძლია იურიდიული საქმიანობის განხორციელება ინდივიდუალური და გუნდური პრინციპების საფუძველზე;

H) ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების მნიშვნელობას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების შესაბამისად,

პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების საფუძველზე.

# საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ინგლისური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | საერთაშორისო სამართლის მაგისტრი/ Master of International Law |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 4000 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ირაკლი სოკოლოვსკი |
| პროგრამის კოორდინატორი | მარიამ ჭიკაიძე<br>m.chikaidze@gipa.ge<br>+995 551 197 600 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სამართლის სფეროში;

2) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;

3) შიდა საუნივერსიტეტო  პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- ⇒ სტუდენტის მიერ შევსებული აპლიკაციის ანალიზი;
- ⇒ გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), გამოცდიდან განთავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს ((TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე;
- ⇒ გამოცდა სპეციალობაში, რომლის  მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და შეფასდეს აპლიკანტის უნარ-ჩვევები.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმაღლეს საგანმანათლებლო  დაწესებულებაში  ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის

წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

## *პროგრამის მიზანი:*

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიღწევების, გამოწვევების, განვითარების ძირითადი ტენდენციების, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების, საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების, ასევე სამეცნიერო კვლევის იურიდიული მეთოდების, აკადემიური პატიოსნების და ეთიკის წესების, სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საერთაშორისო სამართლის უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე საკუთარი ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების და რთული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის უნარი;

- შესძინოს  სამართლებრივი ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების და ანალიზის უნარი;
- გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის განსაზღვრის და ფორმულირების, მისი გადაჭრის  გზების შემუშავების,  სამართლის  აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ორგანიზების  და  სამეცნიერო  კვლევითი  პროექტის/ნაშრომის  შემუშავების,  პროფესიული  სამეცნიერო  ტექსტების  შექმნის ძირითადი წესებისა და პრინციპების უნარი;
- გამოუმუშავოს  როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ აუდიტორიასთან საკუთარი კვლევითი მიგნებების,  მოსაზრებებისა და ანალიზის  წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს  სხვადასხვა  წყაროებიდან,  რელევანტური  და  აქტუალური  ინფორმაციის  მოძიებისა  და  საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული ეთიკის, სამეცნიერო  კვლევის  შედეგების,  სტანდარტების  დაცვის,  პროფესიული  პრაქტიკისა  და  ღირებულებების  განვითარების  უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

A. მაგისტრი აღწერს:

თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნული სამართლის მიღწევებს, განვითარების მთავარ მიმართულებებს, გამოწვევებსა და ხარვეზებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს, ასევე გავლენების საკითხებს (მათ შორის ეროვნული სამართლის ევროპეიზაციის საკითხებს).

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ მიდგომებს და პრინციპებს, აქტუალურ თემებს, ასევე იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შედგენის პრინციპებს, სამოსამართლო ეთიკის წესებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს;

ძირითადი საერთაშორისო შეთანხმებებით და წამყვანი იურისდიქციების მიერ ჩამოყალიბებულ და შემუშავებულ სამართლებრივი სისტემების თავისებურებებსა და მოდელებს, ასევე ამ სამართლებრივი სისტემების დინამიური

განვითარებისა და მიმდინარეობის პროცესს; შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას.

**უნარი**

B. აანალიზებს უახლეს ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლის უახლეს მეცნიერულ კვლევებს და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე დამოუკიდებლად შეიმუშავებს ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

C. განმარტავს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, აფასებს საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებსა და არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, აღმოაჩენს სამართლებრივ ხარვეზებსა და შეიმუშავებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ გზებს, ასევე განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

D. ამოიცნობს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას და შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, დარგში არსებულ აქტუალურ საკითხებზე კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, სხვადასხვა წყაროებიდან (მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან) მიღებული მონაცემების სისტემური დამუშავებით და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

E. წერითი და ზეპირი ფორმით უზიარებს პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებას საკუთარი კვლევის შედეგებს, დასკვნებსა და არგუმენტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

F. მაგისტრი პატივს სცემს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, აანალიზებს პროფესიის ეთიკურ, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. აღიარებს და იცავს აკადემიური პატიოსნების წესებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. ეფექტურად იყენებს სამუშაო დროს და ახორციელებს კვლევას წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის მიხედვით;

G. მაგისტრი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარის გამომუშავებას. გააჩნია ცოდნის მუდმივად განახლების უნარი, პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. სტრატეგიული მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების გამოყენებით მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, უზიარებს საკუთარ გამოცდილებას კოლეგებს გუნდური მუშაობის ან იმიტირებული პაექრობის ფარგლებში. სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს, აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

# საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი / Bachelor of International Relations |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 4500 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | თორნიკე შარაშენიძე |
| პროგრამის კოორდინატორი | გიორგი კაკაბაძე<br>+995577171731<br>g.kakabadze@gipa.ge |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შესძინოს:

- საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სკოლების, თეორიებისა და პრაქტიკის ფართო ცოდნა;
- პოლიტიკური აზრისა და ისტორიის ფართო ცოდნა;
- საერთაშორისო ურთიერთობების მომიჯნავე სფეროების ზოგადი ცოდნა; საერთაშორისო ურთიერთობების ფართო კონტექსტში გააზრებისათვის საჭირო მრავალმხრივი განათლება.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს:

- მიმდინარე საერთაშორისო საკითხების გააზრების და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ თეორიებზე დაყრდნობით დასკვნის ჩამოყალიბებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;

- პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან საერთაშორისო საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მცირე კვლევითი ხასიათისა და ანალიტიკური პროექტების განხორციელების უნარი;
- პრაქტიკული ან კვლევითი საქმიანობისას კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

**ცოდნა და გაცნობიერება:**

საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლითა და გაცნობიერებით სტუდენტი იცნობს და აღწერს დარგის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს და მიმართულებებს - როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიები, ეროვნული უსაფრთხოება, მსოფლიო პოლიტიკური ისტორია, საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური რეჟიმები და მიმდინარე საკითხები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. სტუდენტი ფლობს ფართო ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სკოლების (რეალიზმი, ლიბერალიზმი, კრიტიკული თეორიები) ძირითადი პრინციპების შესახებ და აკავშირებს აღნიშნულ თეორიებს თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენებთან. სტუდენტი აღწერს სახელმწიფოსა და სხვა აქტორების რაობას და მათ როლს საერთაშორისო საზოგადოებაში. ბაკალავრი არსებული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში განმარტავს სახელმწიფოთა ინტერაქციის ძირითად შედეგებს. ამასთან, სტუდენტი იცნობს მომიჯნავე სფეროების იმ მიმართულებებს, რომლებიც საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობების ათვისებისთვის - როგორიცაა ისტორია, შედარებითი პოლიტიკა, ეკონომიკა, გეოგრაფია, სამართალი.

სპეციფიკურად დარგობრივი სფეროების გარდა, სტუდენტი თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, იცნობს ისეთი დარგების ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლიტერატურა, რაც მას აძლევს, როგორც ქართულ, ასევე მულტიკულტურულ სივრცეში საქმიანობის შესაძლებლობას.

**უნარი:**

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების მეშვეობით, სტუდენტი აანალიზებს მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებს, პრობლემებს და აყალიბებს მისი გადაჭრის სავარაუდო გზებს; შესწავლილ მასალას აკავშირებს მიმდინარე მოვლენებთან და აკეთებს შესაბამის დასკვნებს ცალკეულ შემთხვევათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებთან, გლობალურ და ეროვნულ უსაფრთხებასთან დაკავშირებულ საკითხებს ისეთ ჭრილში, როგორიცაა სამხედრო ძალა, ეკონომიკური განვითარება, ძალთა ბალანსი, პოლიტიკური სტაბილურობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუციები და სხვა. ბაკალავრი აღნიშნულ საკითხებზე დაყრდნობით, აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს, რომლებიც ითვალისწინებს შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში შესაბამისი მონაცებემის შეგროვება და განმარტება, მონათესავე სფეროებში არსებულ მონაცემებთან შედარება და მათი დაკავშირების საფუძველზე არსებული დასკვნების ანალიზი.

საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე რეგულარული დისკუსიები, პრეზენტაციები, პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან შეხვედრები სტუდენტს უყალიბებს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარს კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

აკადემიური წერითი უნარების გაღრმავებისა და უცხო ენის ათვისების გზით, ბაკალავრი იუმჯობესებს კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ აუდიტორიასთან. სტუდენტს შეუძლია, იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ანგარიშის მომზადება.

წინასწარგანსაზღვრული მითითების შესაბამისად, სტუდენტი სოციალური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა (რაოდენობრივი, თვისებრივი) და კომუნიკაციის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ასრულებს მცირე კვლევითი ხასიათის პროექტს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

სტუდენტს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, გააზრებული აქვს ჯგუფურად განსახორციელებელი აქტივობების აუცილებლობა და ტოლერანტულია კოლეგების განსხვავებული აზრისადმი. ბაკალავრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ნორმების ფარგლებში და აღიარებს პლაგიარიზმისა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისების ყველა ფორმის დაუშვებლობას. სტუდენტი იზიარებს მართველობის დემოკრატიულ პრინციპებს. სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. სტუდენტს გააზრებული აქვს ეროვნული უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვის ღირებულებები. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს.

**შედეგი 1.** ფლობს პოლიტიკური ისტორიის, ძალაუფლების, რეჟიმებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ ფართო ცოდნას;

**შედეგი 2.** აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების წამყვან სკოლებს: რეალიზმი, ლიბერალიზმი და კრიტიკული თეორიები;

# საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ინგლისური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | საერთაშორისო სამართლის მაგისტრი/ Master of International Law |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 4000 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ირაკლი სოკოლოვსკი |
| პროგრამის კოორდინატორი | მარიამ ჭიკაიძე<br>m.chikaidze@gipa.ge<br>+995 551 197 600 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სამართლის სფეროში;

2) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;

3) შიდა საუნივერსიტეტო  პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- ⇒ სტუდენტის მიერ შევსებული აპლიკაციის ანალიზი;
- ⇒ გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), გამოცდიდან განთავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერთიფიკატს ((TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE) ან ბაკალავრის ან შემდგომი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებული აქვთ ინგლისურ ენაზე;
- ⇒ გამოცდა სპეციალობაში, რომლის  მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და შეფასდეს აპლიკანტის უნარ-ჩვევები.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმაღლეს საგანმანათლებლო  დაწესებულებაში  ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის

წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

## *პროგრამის მიზანი:*

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიღწევების, გამოწვევების, განვითარების ძირითადი ტენდენციების, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების, საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების, ასევე სამეცნიერო კვლევის იურიდიული მეთოდების, აკადემიური პატიოსნების და ეთიკის წესების, სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საერთაშორისო სამართლის უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე საკუთარი ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების და რთული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის უნარი;

- შესძინოს სამართლებრივი ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების და ანალიზის უნარი;
- გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის განსაზღვრის და ფორმულირების, მისი გადაჭრის გზების შემუშავების, სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ორგანიზების და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი წესებისა და პრინციპების უნარი;
- გამოუმუშავოს როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ აუდიტორიასთან საკუთარი კვლევითი მიგნებების, მოსაზრებებისა და ანალიზის წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, რელევანტური და აქტუალური ინფორმაციის მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული ეთიკის, სამეცნიერო კვლევის შედეგების, სტანდარტების დაცვის, პროფესიული პრაქტიკისა და ღირებულებების განვითარების უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

**ცოდნა და გაცნობიერება**

B. მაგისტრი აღწერს:

თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნული სამართლის მიღწევებს, განვითარების მთავარ მიმართულებებს, გამოწვევებსა და ხარვეზებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს, ასევე გავლენების საკითხებს (მათ შორის ეროვნული სამართლის ევროპეიზაციის საკითხებს).

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ მიდგომებს და პრინციპებს, აქტუალურ თემებს, ასევე იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შედგენის პრინციპებს, სამოსამართლო ეთიკის წესებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს;

ძირითადი საერთაშორისო შეთანხმებებით და წამყვანი იურისდიქციების მიერ ჩამოყალიბებულ და შემუშავებულ სამართლებრივი სისტემების თავისებურებებსა და მოდელებს, ასევე ამ სამართლებრივი სისტემების დინამიური განვითარებისა და მიმდინარეობის პროცესს; შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას.

**უნარი**

F. აანალიზებს უახლეს ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლის უახლეს მეცნიერულ კვლევებს და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე დამოუკიდებლად შეიმუშავებს ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

G. განმარტავს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, აფასებს საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებსა და არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, აღმოაჩენს სამართლებრივ ხარვეზებსა და შეიმუშავებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ გზებს, ასევე განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

H. ამოიცნობს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას და შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, დარგში არსებულ აქტუალურ საკითხებზე კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, სხვადასხვა წყაროებიდან (მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან) მიღებული მონაცემების სისტემური დამუშავებით და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;

I. წერითი და ზეპირი ფორმით უზიარებს პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებას საკუთარი კვლევის შედეგებს, დასკვნებსა და არგუმენტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

H. მაგისტრი პატივს სცემს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, აანალიზებს პროფესიის ეთიკურ, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. აღიარებს და იცავს აკადემიური პატიოსნების წესებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. ეფექტურად იყენებს სამუშაო დროს და ახორციელებს კვლევას წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის მიხედვით;

I. მაგისტრი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარის გამომუშავებას. გააჩნია ცოდნის მუდმივად განახლების უნარი, პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. სტრატეგიული მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების გამოყენებით მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, უზიარებს საკუთარ გამოცდილებას კოლეგებს გუნდური მუშაობის ან იმიტირებული პაექრობის ფარგლებში. სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს, აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

GIPA
In hoc signo vinces

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

# ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა

# აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი / Bachelor of Audiovisual Arts |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 7700 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | იოსებ დუმბაძე<br>ელენე ასათიანი |
| პროგრამის კოორდინატორი | ნინო ქოჩიაშვილი<br>+995 599 778 686<br>n.kochiashvili@gipa.ge |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს შემოქმედებითი ტურისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით აუდიოვიზუალური ხელოვნების კვალიფიკაციისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი.

ინგლისური ენის გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს.

შემოქმედებითი კონკურსი – აბიტურიენტი პროგრამზე ჩასარიცხად გაივლის შემოქმედებით ტურს, სადაც უნდა შეასრულოს წერილობითი, ფოტო და გრაფიკული ნამუშევარი მიცემულ თემაზე. ნამუშევარს შეაფასებს საგამოცდო კომისია.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს

**მიზანი 1.** შესძინოს ფართო ცოდნა აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს თეორიების, პრინციპების, დარგის განვითარების გზების, ძირითადი ტენდენციების და უახლესი ასპექტების შესახებ.

მიზანი 2. გამოუმუშაოს კრიტიკული და ანალიტიკური უნარები, რათა დაგეგმონ და დააორგანიზონ ინდივიდუალური/გუნდური პრაქტიკული და შემოქმედებითი სამუშაოები, პროექტის წარმოების პროცესში პრობლემის შეფასების და მისი გადაჭრის ოპტიმალური გამოსავლის მოძებნის უნარი.

**მიზანი 3.** გამოუმუშავოს სხვადასხვა აუდიოვიზუალური მეთოდის გამოყენებით შემოქმედებითი აზროვნების და მხატვრული სახეების შექმნის უნარი.

**მიზანი 4.** განუვითაროს შემოქმედებითი კონცეფციების და იდეების უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით დამოუკიდებლად რეალიზაციის და დაფინანსების წყაროების მოძიების უნარი.

**მიზანი 5.** გამოუმუშავოს აუდიოვიზუალური ხელოვნების თეორიული ასპექტებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისიწინებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის შექმნის უნარი.

**მიზანი 6.** გამოუმუშავოს არაპროგნოზირებად გარემოში ეთიკურ შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე დამოუკიდებლად პასუხისმგებლობის აღებისა და სამომავლო პროფესიული განვითარების ავტონომიურად წარმართვის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

***ცოდნა და გაცნობიერება***

ბაკალავრი:

**სწავლის შედეგი 1.** აღწერს და პროფესიული ტერმინოლოგიის დაცვით მიმოიხილავს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს თეორიებს, პრინციპებსა და ცოდნის უახლეს ასპექტებს.

**სწავლის შედეგი 2.** აყალიბებს დებულებებს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ და მიმოიხილავს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს ისტორიის განვითარების გზებს, ძირითად ტენდენციებსა და კომპლექსურ საკითხებს.

**სწავლის შედეგი 3.** განარჩევს ხელოვნების მიმდინარეობებსა და სტილებს, განასხვავებს დადგმითი/დოკუმენტური ფილმისა და მულტიმედია პროექტების წარმოების თავისებურებებს.

***უნარი***

ბაკალავრი:

**სწავლის შედეგი 4**. გეგმავს და აორგანიზებს ინდივიდუალურ და გუნდურ პრაქტიკულ და შემოქმედებით სამუშაოს (გადასაღებ სივრცეს). დამოუკიდებლად ავითარებს შემოქმედებით ჩანაფიქრს და გუნდის წევრებს გადასცემს საკუთარ შემოქმედებით იდეებს. იღებს და წარადგენს შემოქმედებით გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ხერხით

**სწავლის შედეგი 5**. პროექტის წარმოების პროცესში აფასებს პრობლემას და პროგნოზირებს შედეგებს. მისი გადაჭრის მეთოდებიდან გამომიდინარე, ირჩევს ოპტიმალურ გამოსავალს და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას

**სწავლის შედეგი 6**. მოიძიებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების ფონდებს საკუთარი პროექტების რეალიზაციისა და დაფინანსებისთვის

**სწავლის შედეგი 7**. შემოქმედებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექსპერიმენტირებს და ინტერპრეტირებს თხრობის გზებით და ფორმებით, ქმნის მხატვრულ სახეებს მიზანსცენის, რიტმული მონტაჟის, კადრირების, ხმოვან-პოლიფონიური რიგით, განათებისა და სხვა აუდიოვიზუალური მეთოდებით. მიზანსცენის და კამერის მოძრაობის საშუალებით აგებს აუდიოვიზუალური ხელოვნების პროდუქტის კონკრეტულ და ერთიან ვიზუალურ სტრუქტურებს

**სწავლის შედეგი 8.** აანალიზებს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში არსებულ გამოწვევებს, საკუთარი კომპეტენციების

ფარგლებში, აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე აყალიბებს საავტორო კონცეფციას და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარუდგენს საზოგადოებას

**სწავლის შედეგი 9.** ეფექტურად იყენებს დარგობრივ კომპიუტერულ პროგრამებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს

**სწავლის შედეგი 10.** წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგში ქმნის კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს.

***<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u>***

ბაკალავრი:

**სწავლის შედეგი 11.** ავტონომიურად გეგმავს, წარმართავს და აფასებს სწავლის პროცესს და განსაზღვრავს აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგში ცოდნის მუდმივად განახლების საჭიროებებს

**სწავლის შედეგი 12.** პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს შემოქმედებით პროცესს, არაპროგნოზირებად გარემოში დამოუკიდებლად ან/და გუნდში იღებს პასუხისმგებლობას შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე.

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი / Master of Public Relations |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| 2 წლის სწავლის საფასური: | 10600 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | მარიამ სეხნიაშვილი<br>ნიკოლოზ აბუაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი | ანი მაჭარაშვილი<br>a.macharashvili@gipa.ge<br>+995 599 02 00 50 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართულებით.

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში; 2) საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დოკუმენტაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას; გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს (TOEFL IELTS); გამოცდა სპეციალობაში (ზეპირი ფორმით), რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში. საგამოცდო საკითხების ნიმუში (ინგლისურ ენასა და სპეციალობაში) განთავსდება უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე გამოცდამდე 30 კალენდარული დღით ადრე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

## *პროგრამის მიზანი:*

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მომზადება, რომელიც შეძლებს ორგანიზაციის ეფექტური საზოგადოებრივი ურთიერთობების უზრუნველყოფას, შედეგზე ორიენტირებული მართვის, საკომუნიკაციო სტრატეგიის, ტაქტიკისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- სიღრმისეული და სისტემური ცოდნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში და სისტემური ცოდნა მარკეტინგისა და მენეჯმენტის სფეროში (თეორიული ცოდნა);
- მართვის მოდელების ცოდნა, მათი კრიტიკული გააზრება და გაანალიზება, სხვადასხვა გარემოში შესაბამისი მართვის მოდელის გამოყენება, კრიზისულ სიტუაციაში დასაბუთებული, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი (შედეგზე ორიენტირებული მართვის ცოდნა /უნარი);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში აკადემიური და გამოყენებითი კვლევის მეთოდების სიღრმისეული და სისტემური ცოდნა; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი (კვლევა);
- ვიზუალური თხრობის ტექნიკების სიღრმისეული ცოდნა და კონცეფციის შექმნიდან, სამიზნე აუდიტორიასთან წვდომამდე, კონტენტის წარმოებისა და შესაბამისი საკომუნიკაციო არხებით გავრცელების უნარი (ვიზუალური თხრობა); •

შედეგზე ორიენტირებული საკომუნიკაციო, სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი (საკომუნიკაციო, სტრატეგიის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი);

- პროექტის, ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (პროექტის, ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი);
- კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარების დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა (ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა);

## *სწავლის შედეგები:*

**ცოდნა:**

**სწავლის შედეგი 1** - სიღრმისეულად აღწერს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სფეროს არსს, მიზნებს, პრინციპებს, ძირითად თეორიებს და სისტემურად განიხილავს სფეროს თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს;

**სწავლის შედეგი 2** - გამოკვეთს კორპორაციული კომუნიკაციის, მედიასთან ურთიერთობის, კონტენტ მარკეტინგის და ციფრული კომუნიკაციების ძირითად მახასიათებლებს და სიღრმისეულად განიხილავს ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობას;

**სწავლის შედეგი 3** - განიხილავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის ძირითად მიდგომებისა და მოდელებს, სიღრმისეულად აღწერს მათი განვითარების ეტაპებსა და თანამედროვე ტენდენციებს;

**უნარები:**

**სწავლის შედეგი 4** - კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სხვადასხვა გარემოში საზოგადოებასთან ურთიერთობის შესაბამის მართვის მოდელს და დამოუკიდებლად აყალიბებს ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრუქტურას;

**სწავლის შედეგი 5** - სოციალურ მეცნიერებათა კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის კვლევით ნაშრომს - სამაგისტრო ნაშრომის ან საკომუნიკაციო სტრატეგიის სახით.

**სწავლის შედეგი 6** - დამოუკიდებლად ავითარებს იდეას, ქმნის და აწყობს საკომუნიკაციო პროდუქტის ლოგიკურ სტრუქტურას და ვიზუალური თხრობის ტექნიკების გამოყენებით წარმოადგენს სხვადასხვა ფორმატის კონტენტს, რომლის შესაბამისადაც არჩევს ამბის თხრობის ტექნიკებს;

**სწავლის შედეგი 7** - ორგანიზაციის მისიის, ხედვის, ამოცანების გათვალისწინებით შეიმუშავებს საკომუნიკაციო სტრატეგიას, (მათ შორის: კრიზისული კომუნიკაციის გეგმას, სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამას და ა.შ.) და შესაბამის სამოქმედო

გეგმას. თანამედროვე ტექნოლოგიებსა და საკომუნიკაციო ტენდენციებზე დაყრდნობით, მაღალი პროფესიული სტანდარტით ახორციელებს შესაბამის აქტივობებს.

**სწავლის შედეგი 8** - პროექტის მართვის ინსტრუმენტებისა და მეთოდიკის გამოყენებით აყალიბებს პროექტის მიზნებს და გეგმავს განსახორციელებელი ღონისძიებების თანმიმდევრობას, ითვალისწინებს დროით, ადამიანურ, მატერიალურ, ფინანსურ და საჭიროებისამებრ სხვა რესურსებს;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

**სწავლის შედეგი 9** - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას, წერილობითი და ზეპირი ფორმით წარუდგენს კვლევის შედეგებს. პროფესიული ეთიკური ნორმების გათვალისწინებით შეაქვს წვლილი საზოგადოებასთან ურთიერთობების დარგის განვითარებაში და განსაზღვრავს შემდგომში ცოდნის გაღრმავების მნიშვნელობას;

**სწავლის შედეგი 10** - როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდთან მუშაობის პროცესში პროფესიული, ეთიკური ნორმების დაცვით გეგმავს და წარმართავს პროექტს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში და იღებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებებზე;

# მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | ჟურნალისტიკის მაგისტრი/Master in Journalism |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 4500 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ანა ქეშელაშვილი<br>ნინო მახვილაძე |
| პროგრამის კოორდინატორი | ლევან კურცხალია<br>l.kurtskhalia@gipa.ge<br>+995 591 656 505 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში;

2) საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;

3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (B2 დონე), გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ კვალიკიფაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს (TOEFL, ILETS) და გამოცდა სპეციალობაში, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა შესაბამის დარგში. საგამოცდო საკითხების ნიმუში განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე.

## *პროგრამის მიზანი:*

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს და ჩამოუყალიბოს:

- ღრმა და სისტემური ცოდნა მულტიმედია ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის პრინციპების, სტანდარტების, უახლესი ტენდენციებისა და მიდგომების შესახებ;
- მედია პროდუქტის შექმნისთვის აუცილებელი უახლესი ტექნიკური ინსტრუმენტების გამოყენების უნარი;

- მულტიმედია ჟურნალისტიკას, მედია მენეჯმენტსა და მედიაკვლევაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- კრიტიკულ აზროვნებასა  და ანალიზზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- პროფესიული წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი პროფესიული ინგლისურის და  კომუნიკაციის უნარი ;
- მიღებული ცოდნის სინთეზისა და პროფესიული ზრდისთვის აუცილებელი ტრანსფერული უნარი;
- პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული მტკიცე ღირებულებათა სისტემა და პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და გადის შვიდ მაჩვენებელზე, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობა საკვანძო კომპეტენციებს. ეს შედეგებია:

**შედეგი 1**

მაგისტრი სიღრმისეულად იაზრებს ჟურნალისტიკის, ანტრეპრენერული ჟურნალისტიკის,  მედია მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებს,  სტანდარტებს,  უახლეს ტენდენციებსა და მიდგომებს, ასევე, მედიაკვლევის უახლეს პრინციპებსა და მეთოდოლოგიებს. აცნობიერებს  და იაზრებს მულტიმედია ჟურნალისტიკისა და ანტრეპრენერობის პრაქტიკულ ასპექტებსა და პროფესიასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ გარემოს.

**შედეგი 2**

მაგისტრი იყენებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომისა და ციფრული მედია პროდუქტის წარმოებისთვის ყველა საჭირო უახლეს ტექნიკურ საშუალებას (ვიდეო  და ფოტო კამერები, მობილური ტელეფონები, სამონტაჟო პროგრამები, ხმის ჩამწერი მოწყობილობები, განათების სისტემები, მედია პროექტების წარმოებისა და განხორციელების სხადასხვა ციფრული პლატფორმა, და ა.შ.);

**შედეგი 3**

მაგისტრი დამოუკიდებლად და ოპერატიულად  ახორციელებს მულტიმედიური ჟურნალისტური ნაშრომის შექმნისთვის საჭირო ყველა ოპერაციას, ამბის მოძიებიდან მის გავრცელებამდე; არჩევს და აწარმოებს სხვადასხვა პლატფორმასთან შესაბამისი მედია პროდუქტის ფორმას და შინაარს; წარმართავს ციფრული მედია პროდუქტის წარმოების პროცესის თითოეულ ეტაპს და როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდურად ასრულებს პროდუქტის შექმნისათვის აუცილებელ ყველა როლს;  იყენებს მედიაკვლევის მეთოდოლოგიებს, რის შედეგადაც გეგმავს და ახორცილებს გამოყენებით ან აკადემიურ კვლევას; ქმნის მაღალი პროფესიული ხარისხის  ჟურნალისტურ  ნაშრომებს, მულტიმედიურ პროექტებს  და საკუთარ მედია პლატფორმებს; მაგისტრი ქმნის რეალისტურ ბიზნეს მოდელს და მოქმედებს როგორც ანტრეპრენერი ჟურნალისტი; ქმნის და ავითარებს ინოვაციურ ფორმატებს, პროცესებსა და პროდუქტებს.

**შედეგი 4**

მაგისტრი განსაზღვრავს მნიშვნელოვან  საკვლევ საკითხს; იძიებს, ამუშავებს და აანალიზებს ახალ და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ ინფორმაციას; ამუშავებს, აანალიზებს, აორგანიზებს, ასინთეზირებს და საფუძვლიანად აფასებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს; სიღრმისული კვლევის საფუძველზე მოძიებულ ფაქტებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით ქმნის ობიექტურ, დაბალანსებულ და მიუკერძოებელ მედია პროდუქტს;აკადემიურ კვლევაზე დაფუძნებით ავითარებს არგუმენტირებულ მოსაზრებას; განსაზღვრავს ამბის ფოკუსს და პრიორიტეტულობას,

ასევე, სამიზნე აუდიტორიას და მის საჭიროებებს; აფასებს მედია პროდუქტის/სტარტაპის პოტენციალს და მის დროულობას/საბაზრო რელევანტურობას;.

**შედეგი 5**

მაგისტრი ინგლისურ ენაზე პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან ამყარებს კომუნიკაციას; ეფექტიანად, პროფესიონალურად წარადგენს პროექტის კონცეფციებს, წინადადებებს, განხორციელების გეგმებს ფორმატისა და ვადების დაცვით (წერილობით და ვერბალურად); ნაყოფიერად და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მუშაობს გუნდში.

**შედეგი 6**

მაგისტრს ადეკვატურად გადააქვს მიღებული ცოდნა და ათვისებული უნარ-ჩვევები სხვა კონტექსტში და განსხვავებულ სიტუაციებში და ეფექტურად იყენებს მათ, რაც ასევე მოიცავს სხვადასხვა თეორიული მიდგომისა და პრინციპის ინტეგრირებას და ცოდნის მუდმივ განახლებას (პროფესიულ ზრდას);

**შედეგი 7**

მაგისტრი იაზრებს დამოუკიდებელი მედიის როლს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების პროცესში; აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რაც ჟურნალისტის, ანტრეპრენერის, მკვლევარის და მედია მენეჯერის პროფესიულ საქმიანობას ახლავს თან; იცავს ჟურნალისტიკის სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს, სხვა პროფესიულ სტანდარტებს და შეაქვს წვლილი ჟურნალისტიკის სფეროს განვითარებაში; აცნობიერებს დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მნიშვნელობასა და პლურალისტული და თავისუფალი მედია გარემოს არსებობის აუცილებლობას.

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი/Bachelor of Mass Communication |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 6000 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ანა ქეშელაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი | ნინო აფაქიძე<br>(+995) 551 16 06 69<br>n.apakidze@gipa.ge |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა ან ისტორია; უცხო ენა - ინგლისური.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად წარმოქმნილ რეალობაში საზოგადოება და მისი თითოეული წევრი დგას მრავალი შესაძლებლობისა და, ასევე, გამოწვევის წინაშე. მზარდი ცვლილებების შედეგად უფრო და უფრო მეტი მედია, კომერციული, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია საჭიროებს ციფრულ სივრცეში სწორ კომუნიკაციას და ზრდის მოთხოვნას შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე კადრებზე. ციფრული გარემო კომუნიკაციის მომავალი პროფესიონალებისგან მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნასა და თვითგანვითარების უნარს. აქედან გამომდინარე, ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ციფრული კომუნიკაციის უნივერსალური სპეციალისტის მომზადებას. ჰოლისტიკური პროგრამა ისეა აგებული, რომ კომუნიკაციების მომავალმა სპეციალისტებმა შეიძინონ კომპლექსური ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მათ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, პროფესიული ამოცანების ეფექტურად და ეთიკურად გადაჭრაში დაეხმარებათ.

პროგრამის მიზანია, სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშავოს:

- ფართო თეორიული ცოდნა მედიისა და კომუნიკაციის ძირითად მიმართულებათა შესახებ, და ციფრული კომუნიკაციის დარგობრივი ცოდნა.
- პროფესიული ამოცანების ეფექტურად გადაჭრის უნარი, რაც გულისხმობს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებასა და კრიტიკულ გააზრებას, ციფრული ინსტრუმენტებისა და არხების გამოყენებით მედიაპროდუქტის შექმნასა და გავრცელებას.

## *სწავლის შედეგები:*

**პროგრამა მიზნად ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილი 7 სწავლის შედეგის მიღწევას :**

**შედეგი 1**: განსაზღვრავს კომუნიკაციის თეორიების, ფორმების, ტექნოლოგიებისა და არხების დანიშნულებას საზოგადოების განვითარების ჭრილში; განსაზღვრავს მედიისა და კომუნიკაციის როლს ისტორიულ და დემოკრატიულ ჭრილში; აღწერს ტექნოლოგიების გავლენას კომუნიკაციებზე და მსჯელობს თანამედროვეობის გამოწვევების შესახებ.

**შედეგი 2:** აღწერს ჟურნალისტიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ციფრული კომუნიკაციის სტანდარტებს, პრინციპებსა და ღირებულებებს.

**შედეგი 3:** კრიტიკულად აფასებს პროფესიულ ამოცანას, ანალიზის საფუძველზე ქმნის მედია პროდუქტს (აუდიოვიზუალური, ტექსტური, მულტიმედია და სხვა); სხვადასხვა აუდიტორიისა და მიზნებისთვის შეარჩევს და იყენებს კომუნიკაციის ეფექტურ ფორმატსა და არხებს.

**შედეგი 4:** დამოუკიდებლად ქმნის, მართავს და განავითარებს სხვადასხვა ტიპის ციფრულ საკომუნიკაციო არხს.

**შედეგი 5:** აგროვებს, აანალიზებს, აფასებს და იყენებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან.

**შედეგი 6:** ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში პროფესიული და არაპროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან, აქტიურად მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებსა და დისკუსიებში; როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, თანმიმდევრულად გადმოსცემს შესაბამის შინაარსს; მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში.

**ეგი 7:** პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, ადამიანის უფლებებს; აღიარებს და იზიარებს პროფესიული ეთიკის
ციპებს; ისწრაფვის ცოდნის მუდმივად განახლებისკენ.

# ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამის და საკომუნიკაციო დიზაინის) საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | ხელოვნების ბაკალავრი ვიზუალურ კომუნიკაციაში BFA in Visual Communication |
| კრედიტების რაოდენობა: | 180 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 9500 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | ნინო ლიპარტელიანი<br>ნინო გედევანიშვილი |

| | |
|---|---|
| *პროგრამის კოორდინატორი* | *გიორგი შუბლაძე*<br>*+995 595 599 655*<br>*g.shubladze@gipa.ge* |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

***ვიზუალური კომუნიკაციის*** (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, შემოქმედებითი კონკურსისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით ვიზუალური კომუნიკაციის კვალიფიკაციისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი. ინგლისური ენის გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამაზე ერთიან ეროვნულ გამოცდების გარეშე და მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებს სავალდებულო წესით მოუწევთ შემოქმედებითი კონკურსის გავლა.

შემოქმედებითი კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემოქმედებითი კონკურსი ჩატარების წესში.

## *პროგრამის მიზანი:*

**ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს** შესძინოს და გამოუმუშავოს:

- ფართო ცოდნა ხელოვნებასა და ვიზუალური კომუნიკაციაში (ისტორია, თეორია და კულტურა, როგორც მოვლენათა ერთობლიობა)
- კრეატიული და კონცეპტუალური აზროვნება პრობლემის ინოვაციური გადაწყვეტილებებისათვის (Design Thinking Toolkit)
- ხელოვნების ფორმებისა და ვიზუალური მედიის კომბინირების მეთოდები ინოვაციური იდეების განსახორციელებლად
- სტრატეგიული აზროვნება და მედიის ფართოდ გააზრება (Everything is media)
- თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების, მეთოდებისა და ხერხების შემოქმედებითად გამოყენების უნარი
- პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით დარგობრივი (პროფესონალური) კომპეტენციის ფორმირება და ტრანსფერული უნარები

## *სწავლის შედეგები:*

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე და საკვანძო კომპეტენციების გამომუშავებაზე, რაც წარმოადგენს აუცილებელ, დარგის შესაბამის მრავალფუნქციონალურ პაკეტს და მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულის პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისათვის, ისევე როგორც სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისათვის.

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებული:

- **შედეგი 1**: აღწერს ხელოვნებაში მიმდინარე მოვლენათა ჯაჭვს, გამოკვეთს და მიმოიხილავს სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებს და განარჩევს გამოხატვის ფორმების ეპოქალურ, კულტურულ, ესთეტურ ასპექტებს. განსაზღვრავს ხელოვნების, როგორც დემოკრატიული მედიუმის და საჯარო გამოხატვის ფორმის მნიშვნელობას თავისუფალი, კრეატიული და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

- **შედეგი 2**: აკავშირებს ხელოვნებისა და კომუნიკაციის ფორმებს, ვიზუალურ საკომუნიკაციო სფეროში არსებულ თანამედროვე თეორიებისა და მიმდინარე პროცესების შესაბამისად, აღწერს კონცეფციის ფორმირების და განვითარების ინსტრუმენტთა ნაკრებს, აზროვნების დიზაინის არაწრფივი პროცესის ფაზებს, როგორიცაა პრობლემის აღმოჩენა, გამოკვლევა, მატერიალიზება. გამოკვეთს ამ სფეროს კომპლექსურ საკითხებს.

- **შედეგი 3**: გამოკვეთს და განარჩევს ხელოვნების ფორმებს (ფოტოგრაფია, ტიპოგრაფია, ილუსტრაცია, გრაფიკული და ციფრული დიზაინი, ვიდეო, ციფრული/ინტერაქტიული კონტენტი, ვიზუალური თხრობის ფორმები) და იმპლემენტაციის მეთოდებს, როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს (მედიები, კომპიუტერული პროგრამები და ტექნოლოგიები).

- **შედეგი 4**: განიხილავს სარეკლამო/საკომუნიკაციო კრეატიულ ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებს, ხელოვნების ფორმების, მედია არხებისა და ტექნოლოგიების კომბინირებას ექსპერიმენტული ვიზუალური საკომუნიკაციო პროექტებისათვის და თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად აყალიბებს ინოვაციურ მულტიმედიურ მიდგომებს.

**უნარი**

კურსდამთავრებული:

- **შედეგი 5**: კონცეფციის ვიზუალური ფორმების შემუშავების პროცესში, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ეფექტურად არჩევს მედია არხებსა და ციფრულ ტექნოლოგიებს, იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და ქმნის მულტიპლატფორმულ რელევანტურ შემოქმედებით საკომუნიკაციო კონტენტს (საკომუნიკაციო დიზაინი და სტრატეგია, კამპანიები) სამიზნე ჯგუფის შესაბამისად.

- **შედეგი 6**: აგროვებს ინფორმაციას და ატარებს თემატურ მოკვლევას, აიდენტიფიცირებს პრობლემას, განსაზღვრავს ამოცანებს, ქმნის საკუთარ სტრატეგიულ კონცეფციას, იღებს კრეატიულ გადაწყვეტილებებს, გეგმავს შემოქმედებით პროექტს, გამოხატავს მას სხვადასხვა ხერხით. მკაფიოდ და ნათლად გადმოსცემს საკუთარ იდეას ეფექტური ვერბალური და ვიზუალური პრეზენტაციით.

- **შედეგი 7**: ეფექტურად მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, პროფესიულ საქმიანობას წარმართავს ეთიკურად, როგორც ლიდერის (Art Director), ისე გუნდის წევრის პერსპექტივიდან, ასრულებს და გასცემს სხვადასხვა სირთულის დავალებას, აანალიზებს სხვის მოსაზრებებს და ლოგიკურად აყალიბებს საკუთარ სტრატეგიულ შემოქმედებით ხედვას.

- **შედეგი 8**: ქმნის შემოქმედებით პორტფოლიოს, აქვს მისი შემდგომში განვითარების და წარდგენის უნარი, იყენებს არსებულ პლატფორმებს საკუთარი თავის საჯარო პრეზენტაციისთვის და ქმნის საკუთარ პლატფორმას.

- **შედეგი 9**: ახდენს სწავლის პროცესში მიღებული თეორიული, ტექნიკური და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრირებას (სწავლის პროცესში განხორციელებული რეალური პროექტები, სტაჟირების და პერსონალური პროექტის განხორციელების პერიოდი) ინოვაციური გადაწყვეტის გზების, ტექნიკების და ვიზუალური ფორმების საძიებლად, შემოქმედებითი იდეების განვითარებისა და განხორციელებისათვის.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

კურსდამთავრებული:

- **შედეგი 10**: პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით წარმართავს პროფესიულ საქმიანობას და დაინტერესებულ მხარეებთან სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის გამოყენებით ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას. საკუთარი პროფესიონალიზმით, ორგანიზებულობით, მოტივაციით წვლილი შეაქვს სარეკლამო, კრეატიული საკომუნიკაციო ინდუსტრიის განვითარებაში.

- **შედეგი 11**: აღიარებს და პატივს სცემს პროფესიის როლსა და მნიშვნელობას, შემდგომში პროფესიული განვითარებისთვის განსაზღვრავს და გეგმავს ინდივიდუალური განათლების საჭიროებას.

# აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი / Bachelor of Audiovisual Arts |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 7700 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | იოსებ დუმბაძე<br>ელენე ასათიანი |
| პროგრამის კოორდინატორი | ნინო ქოჩიაშვილი<br>+995 599 778 686<br>n.kochiashvili@gipa.ge |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს შემოქმედებითი ტურისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით აუდიოვიზუალური ხელოვნების კვალიფიკაციისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი.

ინგლისური ენის გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს.

შემოქმედებითი კონკურსი – აბიტურენტი პროგრამზე ჩასარიცხად გაივლის შემოქმედებით ტურს, სადაც უნდა შეასრულოს წერილობითი, ფოტო და გრაფიკული ნამუშევარი მიცემულ თემაზე. ნამუშევარს შეაფასებს საგამოცდო კომისია.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს

**მიზანი 1.** შესძინოს ფართო ცოდნა აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს თეორიების, პრინციპების, დარგის განვითარების გზების, ძირითადი ტენდენციების და უახლესი ასპექტების შესახებ.

მიზანი 2. გამოუმუშაოს კრიტიკული და ანალიტიკური უნარები, რათა დაგეგმონ და დააორგანიზონ ინდივიდუალური/გუნდური პრაქტიკული და შემოქმედებითი სამუშაოები, პროექტის წარმოების პროცესში პრობლემის შეფასების და მისი გადაჭრის ოპტიმალური გამოსავლის მოძებნის უნარი.

**მიზანი 3.** გამოუმუშავოს სხვადასხვა აუდიოვიზუალური მეთოდის გამოყენებით შემოქმედებითი აზროვნების და მხატვრული სახეების შექმნის უნარი.

**მიზანი 4.** განუვითაროს შემოქმედებითი კონცეფციების და იდეების უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით დამოუკიდებლად რეალიზაციის და დაფინანსების წყაროების მოძიების უნარი.

**მიზანი 5.** გამოუმუშავოს აუდიოვიზუალური ხელოვნების თეორიული ასპექტებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისიწინებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის შექმნის უნარი.

**მიზანი 6.** გამოუმუშავოს არაპროგნოზირებად გარემოში ეთიკურ შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე დამოუკიდებლად პასუხისმგებლობის აღებისა და სამომავლო პროფესიული განვითარების ავტონომიურად წარმართვის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

***ცოდნა და გაცნობიერება***

ბაკალავრი:

**სწავლის შედეგი 1.** აღწერს და პროფესიული ტერმინოლოგიის დაცვით მიმოიხილავს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს თეორიებს, პრინციპებსა და ცოდნის უახლეს ასპექტებს.

**სწავლის შედეგი 2.** აყალიბებს დებულებებს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ და მიმოიხილავს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს ისტორიის განვითარების გზებს, ძირითად ტენდენციებსა და კომპლექსურ საკითხებს.

**სწავლის შედეგი 3.** განარჩევს ხელოვნების მიმდინარეობებსა და სტილებს, განასხვავებს დადგმითი/დოკუმენტური ფილმისა და მულტიმედია პროექტების წარმოების თავისებურებებს.

***უნარი***

ბაკალავრი:

**სწავლის შედეგი 4**. გეგმავს და აორგანიზებს ინდივიდუალურ და გუნდურ პრაქტიკულ და შემოქმედებით სამუშაოს (გადასაღებ სივრცეს). დამოუკიდებლად ავითარებს შემოქმედებით ჩანაფიქრს და გუნდის წევრებს გადასცემს საკუთარ შემოქმედებით იდეებს. იღებს და წარადგენს შემოქმედებით გადაწყვეტილებებს სხვადასხვა ხერხით.

**სწავლის შედეგი 5**. პროექტის წარმოების პროცესში აფასებს პრობლემას და პროგნოზირებს შედეგებს. მისი გადაჭრის მეთოდებიდან გამომიდინარე, ირჩევს ოპტიმალურ გამოსავალს და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას.

**სწავლის შედეგი 6**. მოიძიებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების ფონდებს საკუთარი პროექტების რეალიზაციისა და დაფინანსებისთვის.

**სწავლის შედეგი 7**. შემოქმედებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექსპერიმენტირებს და ინტერპრეტირებს თხრობის გზებით და ფორმებით, ქმნის მხატვრულ სახეებს მიზანსცენის, რიტმული მონტაჟის, კადრირების, ხმოვან-პოლიფონიური რიგით, განათებისა და სხვა აუდიოვიზუალური მეთოდებით. მიზანსცენის და კამერის მოძრაობის საშუალებით აგებს აუდიოვიზუალური ხელოვნების პროდუქტის კონკრეტულ და ერთიან ვიზუალურ სტრუქტურებს;

**სწავლის შედეგი 8.** აანალიზებს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში არსებულ გამოწვევებს, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე აყალიბებს საავტორო კონცეფციას და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარუდგენს საზოგადოებას.

**სწავლის შედეგი 9.** ეფექტურად იყენებს დარგობრივ კომპიუტერულ პროგრამებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს.

**სწავლის შედეგი 10.** წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგში ქმნის კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს.

***პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა***

ბაკალავრი:

**სწავლის შედეგი 11.** ავტონომიურად გეგმავს, წარმართავს და აფასებს სწავლის პროცესს და განსაზღვრავს აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგში ცოდნის მუდმივად განახლების საჭიროებებს.

**სწავლის შედეგი 12.** პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს შემოქმედებით პროცესს, არაპროგნოზირებად გარემოში დამოუკიდებლად ან/და გუნდში იღებს პასუხისმგებლობას შემოქმედებით გადაწყვეტილებებზე.

GIPA
In hoc signo vinces

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

# სოციოლიალურ მეცნიერება
# სკოლა

# გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | მაგისტრატურა |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | ფსიქოლოგიის მაგისტრი/Master in Psychology |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| სწავლის წლიური საფასური: | 3800 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | მანანა გაბაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი | მარინა კვიცარიძე<br>595 959 096<br>m.kvitsaridze@gipa.ge |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

პროგრამაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ფსიქოლოგიაში; სხვა სპეციალობისთვის- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მოსამზადებელი, სამთვიანი ინტენსიური კურსის ("ფსიქოლოგიის საფუძვლები") წარმატებით გავლა; 2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვარის წარმატებით გადალახვა (A ტესტი); 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის (გასაუბრება მიმღებ კომისიათან) წარმატებით გავლა, რომელიც გულისხმობს ასევე ინგლისური ენის ცოდნის შემოწმებას (მოთხოვნა: სულ მცირე, Upper Intermediate დონე B2).

## *პროგრამის მიზანი:*

- ⇒ გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:
- ⇒ ღრმა და სისტემური ცოდნა პოლიტიკური და საორგანიზაციო მართვის ფსიქოლოგიაში;
- ⇒ პოლიტიკური და საორგანიზაციო ქცევის თანამედროვე კონცეფციების, ძირითადი თეორიებისა და მიდგომების, ტენდენციების, თეორიული, მეთოდოლოგიური და კვლევითი პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა;
- ⇒ ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა. გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:
- ⇒ პოლიტიკური და მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ⇒ ანალიტიკური ხედვა და კვლევის, ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისა და ინტერვენციის პრაქტიკული უნარები;

⇒ ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;

⇒ პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარები.

## *სწავლის შედეგები:*

**ცოდნა და გაცნობიერება:**

მაგისტრს გააჩნია სპეციალიზაციის სფეროს ღრმა, სისტემური და და ინტეგრირებული ცოდნა, იგი ერკვევა გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგებში. ზედმიწევნით იცნობს კონცენტრაციის - პოლიტიკური ფსიქოლოგიის/მართვის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებების - კონცეფციებს, თეორიებს, არსებულ პრობლემებს და შეუძლია თავისუფლად იმუშაოს ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. მაგისტრს ღრმად და სისტემურად აქვს შესწავლილი პოლიტიკური ფსიქოლოგიის/მართვის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებები, ღრმად და სისტემურად იცნობს პოლიტიკური/ორგანიზაციული მართვის პრინციპებს, სიღრმისეულად ფლობს კვლევის მეთოდოლოგიას.

**უნარი:**

მაგისტრს გააჩნია გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, მაგისტრს შეუძლია განხორციელებული სამუშაოს, დასახულ მიზნებთან მისი ადეკვატურობის შეფასება, მიღებული შედეგებისა და დაშვებული შეცდომების განზოგადება. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს აბსტრაქტული, ანალიტიკური აზროვნების უნარს, რომელიც საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის, ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს.

პროგრამის სპეციფიკის თვალსაზრისით, მაგისტრი აანალიზებს შესაბამისი სპეციალიზაციის სფეროში არსებულ პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით ნაშრომებს, გამოაქვს კომპეტენტური და აკადემიურად დასაბუთებული დასკვნა.

მაგისტრი იყენებს და პრაქტიკაში ნერგავს სწავლისას მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. სასწავლო პროცესში რეალური ქეისების განხილვა და პრაქტიკული სავარჯიშოები მაგისტრს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს.

მაგისტრი ითვისებს ისეთ პრაქტიკულ უნარებს, როგორიცაა ფსიქომეტრიის, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის, ფსიქოდიაგნოსტიკის, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების და მათი ანალიზის უნარებს; იყენებს სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებს.

კვლევითი და აკადემიური პროექტების, სადიპლომო ნაშრომის მომზადების დროს მაგისტრი პრაქტიკულად იყენებს კვლევის ეფექტურად და სიღრმისეულად წარმართვის უნარს: დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს კვლევას, ამუშავებს მონაცემებს, ახდენს ინტერპრეტაციას და ანალიზს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

მაგისტრი ადეკვატურად გადასცემს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს - წერილობითი და ზეპირი ფორმით; ფლობს აკადემიური ნაშრომების შექმნის, კვლევითი პროექტების წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის ტექნიკას. მას გააჩნია როგორც განსხვავებული აზრის გაგების, ისე საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი.

საჭიროების შემთხვევებში, მაგისტრს გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ორგანიზაციულ პროცესებში ინდივიდებისა და ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფისა და მათთან მუშაობის უნარი. სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს ლიდერის თვისებებს, ასევე გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ- ჩვევას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

მაგისტრი პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა; იცნობს და აფასებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ამ ღირებულებებისადმი. აქვს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი; სრულად გაცნობიერებული აქვს თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების მნიშვნელობა.

მაგისტრი სრულად აცნობიერებს და ზედმიწევნით იცავს პროფესიული, ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს - კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, მონაცემთა ბაზის შექმნისა და კვლევითი ანგარიშის წარმოდგენისას; ასევე, ფსიქოლოგიური ინტერვენციისა და სოციალური ცვლილებების პროცესში. აქვს კრიტიკის კორექტულად გამოთქმისა და მიღების უნარი.

მაგისტრი დამოუკიდებლად ისწრაფვის პროფესიული ზრდისკენ, რაც გულისხმობს როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. მაგისტრი დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს, ავლენს მისი თავისებურებების სრულად გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს; სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად იფართოებს ცოდნას; აქვს გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | დოქტორანტურა |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | საჯარო მმართველობის დოქტორი/ PhD in Public Administration |
| კრედიტების რაოდენობა: | 60 კრედიტი |
| სწავლის წლიური საფასური: | 3300 |
| პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: | ნანა მაჭარაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი: | მარიამ დოთიაშვილი<br>m.dotiashvili@gipa.ge<br>+995 595 65 95 56 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საჯარო მმართვლობში, სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ინგლისურ ენაში გამოცდის და დარგობრივ/მიმღებ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE).

ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, საბაკალავრო ან მომდევნო საფეხურის პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

დოქტორანტობის კანდიდატმა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით მოთხოვნილ საბუთებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი არანაკლებ 1000 სიტყვის მოცულობით, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო  მმართველობის სფეროსთვის რელევანტური შესასწავლი საკითხის სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა და სავარაუდო კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო.

გასაუბრებისას მხედველობაში მიიღება: მოტივაცია, დარგის ცოდნის დონე, წარმოდგენილი კვლევითი პროექტის სიახლე და შინაარსობრივი/მეთოდოლოგიური გამართულობა, არსებული პროფესიული გამოცდილების თავსებადობა სადოქტორო პროგრამის მიზნებთან და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების გამოცდილება.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, მისაღებ წინაპირობებში.

## *პროგრამის მიზანი:*

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

1. **საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირება** - პროგრამის მიზანია საჯარო მმართველობის სფეროში არსებული ცოდნის გაფართოება დარგის უახლესი მიგნებების საფუძველზე, დარგის განვითარება ორიგინალური თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვების შემოთავაზებით, საჯარო მმართველობის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების სისტემური და კრიტიკული გააზრების, ანალიზის და შეფასების გაღრმავება ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად. ახალი ცოდნის გენერირება, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და ინოვაციური მიდგომების შესაბამისად;
2. **საჯარო მმართველობის სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება** - პროგრამის მიზანია პროფესიონალების მომზადება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნის მიზნით განახორციელებენ ინოვაციურ კვლევებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით, შეიმუშავებენ ახალ მეთოდებს არსებულზე დაყრდნობით და გამოიყენებენ პრაქტიკაში, დამოუკიდებლად მოამზადებენ და განახორციელებენ საჯარო მმართველობის სფეროში აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე კვლევით

პროექტებს, მათ შორის ინტერდისციპლინურ კონტექსტში. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულისთვის ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარის გამომუშავება როგორც კოლეგებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის;

3. **საჯარო მმართველობის სფეროში კვალიფიციური აკადემიური რესურსის მომზადება** - პროგრამის მიზანია სწავლება/სწავლისა და შეფასების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიების მცოდნე კვალიფიციური აკადემიური რესურსის მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც სტუდენტებს გადასცემენ საჯარო მმართველობის ცოდნას, გამუმუშავებენ შესაბამის უნარებსა და ჩამოუყალიბებენ ღირებულებებს, რითაც ხელს შეუწყობენ მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებას და შესაბამისი წვლილს შეიტანენ საზოგადოებრივ წინსვლაში;
4. **საჯარო მმართველობის სფეროში სამეცნიერო კვლევის შედეგების საზოგადოებრივი პრობლემების მართვის მიზნით გამოყენების უნარის მქონე პროფესიონალების მომზადება** - პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიონალების მომზადება, ვისაც აქვს სამეცნიერო პროდუქციის სოციეტალური პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტის მიზნით გამოყენებისა და კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის სასარგებლო და განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში ტრანსფორმაციის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

საჯარო მმართველობის დოქტორი:

**ცოდნა და გაცნობიერება**

1. ზედმიწევნით აღწერს საჯარო მმართველობის დარგში არსებულ თეორიებს, შესაბამის კონცეფციებს, მათ კრიტიკულ ინტერპრეტაციასა და სამეცნიერო სიახლეებს. სისტემურად და კრიტიკულად განსაზღვრავს დარგში არსებულ პრობლემებს საჯარო მმართველობის თეორიული რაკურსის გათვალისწინებით და საჯარო მმართველობის ინდივიდუალური, ჯგუფური/გუნდური, ორგანიზაციული, სისტემური და სოციეტალური განზომილებებიდან გამომდინარე განსაზღვრავს სფეროს სპეციფიკასა და მის კავშირს სხვა დისციპლინებთან.

2. სიღრმისეულად განიხილავს საჯარო მმართველობის რეფორმის მოდელებს და მათ განმსაზღვრელ ფაქტორებს შედარებითი საჯარო მმართველობის სპეციფიკის გათვალისწინებით და საფუძვლიანად გამოკვეთს საჯარო მმართველობის სფეროში საქართველოში მიმდინარე რეფორმას და მის გამოწვევებს SIGMA-ს სტანდარტენთან თავსებადობის კუთხით.
3. გამოკვეთს სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებისა და შესაბამისი მონაცემების საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გამოყენების პოტენციალს, საზღვრებსა და საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტურ, განვითარებაზე ორიენტირებულ, ინოვაციურ პროექტებში მათი ტრანსფორმაციის ინსტრუმენტებს.

**უნარები**

4. საჯარო მმართველოს აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ეფექტური მართვის მიზნით აფასებს სფეროში არსებულ თეორიული, მეთოდოლოგიური და ინფორმაციული ხასიათის ნაკლოვანებებს, კრიტიკულ და სისტემურ დონეზე აანალიზებს საჯარო მმართველობის პრობლემებს.
5. დარგში ახალი ცოდნის გენერირების მიზნით იყენებს საჯარო მმართველობის სფეროში არსებული სიახლის შემცველი, კომპლექსური პრობლემური საკითხების კვლევის შესაბამის მეთოდოლოგიას, მეთოდებს, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ტექნიკებს, კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გეგმავს და ეფექტურად ახორციელებს კვლევის წარმოების პროცესს, ინოვაციური და ორიგინალური მიდგომებით მისი მართვის ეტაპებსა და ინსტრუმენტებს.
6. დასაბუთებულად, გარკვევით და ახალ მონაცემებზე დაფუძნებით წარმოადგენს საკუთარი და სხვების კვლევის შედეგებს როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე ქართულ და ინგლისურ ენაზე, მათ შორის დარგში არსებული თანამედროვე საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო თემატურ დისკუსიებში/კონფერენციებში, აქვეყნებს სამეცნიერო პროდუქტს, რომელიც აკმაყოფილებს საერთშაორისო რეფერირებადი პუბლიკაციის წინაშე წაყენებულ სტანდარტებს.

7. იყენებს სწავლება/სწავლისა და შეფასების უახლეს მეთოდებს, შესაბამის სტრატეგიებსა და ტექნიკებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საჯარო მმართველობის რელევანტური სასწავლო კურსების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისთვის და ეფექტურად მართავს სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებს.
8. სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნას იყენებს საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ამზადებს შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებს, არჩევს დაფინანსების შესაბამის წყაროებს/ფონდებს და ქმნის საპროექტო განაცხადს საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური, განვითარებაზე ორიენტირებული, ინოვაციური პროექტების დასაფინანსებლად.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

9. საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტურ უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტებისა და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვისა და შეფასებისას, ასევე, აკადემიური საქმიანობის განხორციელებისას, ხელმძღვანელობს საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედი პროფესიული სტანდარტებით, პატივს სცემს განსხვავებებს, კულტურულ მრავალფეროვნებას და აღიარებს მათ მნიშვნელობას შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ სივრცეში.
10. კვლევითი პროექტებისა და განვითარებაზე ორიენტირებული, მათ შორის, საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში ხელმძღვანელობს საჯარო მმართველობის დარგში არსებული ინოვაციური ცოდნისა და უახლესი მიღწევების სინთეზირებით და ზრუნავს საკუთარი და კოლეგების პროფესიულ ზრდასა და უწყვეტ განვითარებაზე.

# პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | დოქტორანტურა |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი/PhD in Political Science |
| კრედიტების რაოდენობა: | 60 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 3300 |
| პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: | ბაკურ კვაშილავა |
| პროგრამის კოორდინატორი: | მარიამ დოთიაშვილი<br>m.dotiashvili@gipa.ge<br>+995 595 65 95 56 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს შემდეგ დარგებში: პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, თავდაცვა და უსაფრთხოება, საჯარო მმართველობა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ისტორია, საზოგადოებრივი გეოგრაფია.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ინგლისურ ენაში გამოცდის და დარგობრივ/მიმღებ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE).

ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, საბაკალავრო ან მომდევნო საფეხურის პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

დოქტორანტობის კანდიდატმა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით მოთხოვნილ საბუთებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი არანაკლებ 1000 სიტყვის მოცულობით, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს პოლიტიკის მეცნიერების სფეროსთვის რელევანტური შესასწავლი საკითხის სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა და სავარაუდო კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო.

გასაუბრებისას მხედველობაში მიიღება: მოტივაცია, დარგის ცოდნის დონე, წარმოდგენილი კვლევითი პროექტის სიახლე და შინაარსობრივი/მეთოდოლოგიური გამართულობა, არსებული პროფესიული გამოცდილების თავსებადობა სადოქტორო პროგრამის მიზნებთან და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების გამოცდილება.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, მისაღებ წინაპირობებში.

## *პროგრამის მიზანი:*

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია აღნიშნული დარგის განვითარება, კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და ახალი ცოდნის შექმნა დარგის პოპულარიზაციის ხელის შეწყობის მიზნით. ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება პოლიტიკის მეცნიერებაში კვლევის და სწავლების მიმართულებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ანალიტიკური კვლევითი ცენტრებისთვის და სხვა ორგანიზაციებისთვის, რაც მნიშვნელოვანია აღნიშნული სფეროს შემდგომი განვითარებისთვის.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული ცოდნის გაფართოება დარგის უახლესი მიღწევების საფუძველზე, ინოვაციური, თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვის შემოთავაზებით, სფეროში არსებული აქტუალური საკითხების სისტემური და

კრიტიკული გააზრების ხელისშეწყობა, ანალიზი და შეფასება ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მისაღებად. ახალი ცოდნის გენერირება, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შესაბამისად. დარგის განვითარების ხელშეწყობა მასში არსებული პრობლემატური საკითხების ეფექტურად გადაჭრის გზით.

- პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ინოვაციური კვლევების განხორციელებას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით. პოლიტიკის მეცნიერების სფეროში აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვას, წარმართვას და განხორციელებას, მათ შორის ინტერდისციპლინარულ კონტექსტში.

- სწავლა/სწავლების უახლესი მეთოდების და სტრატეგიების მცოდნე კვალიფიციური პროფესიონალის მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც სტუდენტებს საკუთარ ცოდნასა და უნარებს გადასცემენ, აქედან გამომდინარე ხელს შეუწყობენ მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებას და შესაბამის წვლილს შეიტანენ საზოგადოებრივ წინსვლაში;
- პოლიტიკის მეცნიერების სფეროში სამეცნიერო კვლევის შედეგების საზოგადოებრივი პრობლემების მართვის მიზნით გამოყენების უნარის მქონე პროფესიონალების მომზადება - პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიონალების მომზადება, ვისაც აქვს სამეცნიერო პროდუქციის სოციეტალური პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტის მიზნით გამოყენებისა და კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის სასარგებლო და განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში ტრანსფორმაციის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

**ცოდნა და გაცნობიერება**

- ზედმიწევნით აღწერს დარგში არსებულ თეორიებსა და კონცეფციებს, სიახლეებსა და პრობლემებს, გამოკვეთს მათი კრიტიკული ანალიზის თანამედროვე მიდგომებს. სისტემურად და კრიტიკულად განსაზღვრავს დარგში არსებულ პრობლემებს პოლიტიკის თეორიების კონტექსტში. გამოკვეთს პოლიტიკის მეცნიერების ინტერდისციპლინარულ კონტექსტს და მის კავშირს სხვა დისციპლინებთან;

- სისტემურად აღწერს პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემური საკითხების შესაბამის კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს, ანალიზის შესაბამის ტექნიკებს. დარგში ახალი ცოდნის გენერირების მიზნით, სისტემურად განსაზღვრავს როგორც კვლევის წარმოების პროცესის დაგეგმვის, ასევე ინოვაციური და ორიგინალური მიდგომებით მართვის ეტაპებსა და ინსტრუმენტებს;

- გამოკვეთს სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებისა და შესაბამისი მონაცემების საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გამოყენების პოტენციალს, საზღვრებსა და პოლიტიკის მეცნიერების სფეროსთვის შესაბამის, განვითარებაზე ორიენტირებულ, ინოვაციურ პროექტებში მათი ასახვის ინსტრუმენტებს

**უნარი**

- კრიტიკულად და სისტემურად აანალიზებს პოლიტიკის მეცნიერების დარგში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს და მათი ეფექტურად დაძლევის მიზნით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ახორციელებს ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებულ კვლევას;

- თეორიულ-კონცეპტუალური მიდგომების, ემპირიულად გადამოწმებად ჰიპოთეზებისა და დაშვებებზე დაყვანითა და კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების, მათ შორის ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, ახალი იდეებისა და მიდგომების გენერირებით, გეგმავს და ახორციელებს სამეცნიერო კვლევას. ქმნის ახალ ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების დარგში, რომელსაც გარკვევით წარმოაჩენს და გადასცემს ქართულ და ინგლისურ ენაზე როგროც კოლეგებს, ასევე ფართო საზოგადოებას და მონაწილეობს თემატურ დისკუსიებში.

- სწავლების უახლეს მეთოდების, სტრატეგიების და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით წარმართავს სასწავლო კურს პოლიტიკის მეცნიერების ან მომიჯნავე დარგებში და გადასცემს ცოდნას სტუდენტებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- კვლევითი პროექტებისა და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დამოუკიდებლად მართვის პროცესში ხელმძღვანელობს მკაფიოდ განსაზღვრული ღირებულებათა სისტემით, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემითა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით.

- დარგში არსებული ინოვაციური ცოდნისა და უახლესი მიღწევების სინთეზირებით წარმართავს როგორც აკადემიურ, აგრეთვე პროფესიულ საქმიანობას და საკუთარი წვლილი შეაქვს პოლიტიკის მეცნიერების დარგის განვითარებაში.

# პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი/Bachelor of Political Science |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 3600 |
| პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: | ქეთევან მუხიგული |
| პროგრამის კოორდინატორი: | ლევან ბუსქანძე<br>l.buskandze@gipa.ge<br>(+995) 597 491 717 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; ჩამოთვლილი საგნებიდან ერთ-ერთი: მათემატიკა,სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია,ისტორია; უცხო ენა - ინგლისური ენა. უცხო ენის გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ,

სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა, როგორც ზოგადად პოლიტიკის მეცნიერებებში, ისე მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების (პოლიტიკის თეორია, ფილოსოფია, საქართველოს პოლიტიკა და ა.შ) შესახებ;
- ფართო ცოდნა მსოფლიო ფილოსოფიური და სამეცნიერო მემკვიდრეობის, პოლიტიკური აზროვნების ისტორიისა და პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ;
- ფართო ცოდნა საჯარო პოლიტიკის, სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის, ლიბერალური ღირებულებებისა და ადამიანთა უფლებების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- ფართო ცოდნა ინდივიდის როლის, პასუხისმგებლობისა და საზოგადოებაში მისი უფლებების შესახებ. პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- პოლიტიკის მეცნიერებების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მცირე მასშტაბიანი კვლევის ჩატარების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ 7 შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

**შედეგი 1.** არგუმენტირებულად აღწერს პოლიტიკის მეცნიერებების საფუძვლებს, პოლიტიკური იდეოლოგიების, თეორიებისა და სისტემების ძირითად მახასიათებლებს.

**შედეგი 2.** აღწერს საქართველოს სახელმწიფო მოწყობას, გამოკვეთს საქართველოს მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემებს, პოლიტიკურ პარტიებისა და საარჩევნო სისტემის ძირითად მახასიათებლებს, განიხილავს ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების ფუნდამენტურ ასპექტებს.

**შედეგი 3.** პრაქტიკაში იყენებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, წინასწარ განსაზღვრული მითითების ქვეშ ამზადებს მცირე მასშტაბის კვლევით პროექტს.

**შედეგი 4.** გამოარჩევს და ახდენს დარგის თანამედროვე პრობლემატიკის კლასიფიცირებას, კრიტიკულად აფასებს სხვადასხვა მოვლენებს პოლიტიკის მეცნერების პერსპექტივითა და შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით.

**შედეგი 5.** აანალიზებს და აფასებს საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებსა და პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს, არგუმენტირებულად მსჯელობს საქართველოს განვითარების ისტორიასა და თანამედროვე გამოწვევებზე.

**შედეგი 6**. არგუმენტირებულად მსჯელობს ქართულ და ინგლისურ ენებზე წერილობითი და ზეპირი ფორმით, როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ წრეებთან.

**შედეგი 7.** აღიარებს და პრაქტიკაში იყენებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს.

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | ეკონომიკის ბაკალავრი/BA of Economics |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 3250 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | მერაბ კაკულია |
| პროგრამის კოორდინატორი | ხათუნა ბერაია<br>ელ. ფოსტა: kh.beraia@gipa.ge<br>მობ: +995 599 611 717 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენა - ინგლისური ენა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ეკონომიკის საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის,რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი
საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

**ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:**

1. ფართო თეორიული ცოდნა ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს ეკონომიკის მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონულ დონეებს;
2. სახელმწიფო ინსტიტუტების, საწარმოთა და შინამეურნეობების მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული ასპექტების ცოდნა;
3. ეკონომიკური ანალიზის სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების ცოდნა.

**ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:**

4. ეკონომიკური პრობლემების ანალიზის და გადაწყვეტის გზების ძიების უნარი;
5. პროფესიული პასუხისმგებლობის, გუნდური მუშაობის და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ შედეგობრივ მაჩვენებლებზე გასვლას:

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

**სწავლის შედეგი 1:** ბაკალავრი აღწერს ეკონომიკური თეორიის, ძირითადი ეკონომიკური დოქტრინებისა და გამოყენებითი ეკონომიკური დისციპლინების პრინციპებსა და დებულებებს; განიხილავს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მოდელების სპეციფიკას და მათი გამოყენების შედეგებს;

**სწავლის შედეგი 2:** ბაკალავრი განსაზღვრავს ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებებს მიკრო, მაკრო, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, ასევე, ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს და შესაძლებლობებს;

**სწავლის შედეგი 3:** ბაკალავრი მსჯელობს ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუციურ მოწყობაზე, ძირითადი ეკონომიკური ინსტიტუტების კომპეტენციებსა და ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკულ ასპექტებზე;

<u>უნარი</u>

**სწავლის შედეგი 4:** ბაკალავრი იყენებს ეკონომიკური ანალიზის სტატისტიკურ და ეკონომეტრიკულ ინსტრუმენტებს;

**სწავლის შედეგი 5:** ბაკალავრი კრიტიკულად აანალიზებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს, ხელმძღვანელობის ქვეშ ამზადებს მცირე ფორმატის ეკონომიკურ კვლევას და წარადგენს მას წერილობითი და ზეპირი ფორმით, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u>

**სწავლის შედეგი 6:** ეკონომიკური შინაარსის გადაწყვეტილების მიღებისას ბაკალავრი აზროვნებს დამოუკიდებლად, აცნობიერებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას, ფლობს გუნდური მუშაობის უნარს, კორექტულად გამოთქვამს და იღებს კრიტიკას;

**სწავლის შედეგი 7:** ბაკალავრი იზიარებს საბაზრო ეკონომიკის ღირებულებებს, სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში ირჩევს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ამკვიდრებს ეკონომისტის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | ფსიქოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Psychology |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 4200 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | თინათინ ჩხეიძე |
| პროგრამის კოორდინატორი | ეკატერინე ცეცხლაძე<br>(+995) 593 026 026<br>e.tsetskhlaze@gipa.ge |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა - ინგლისური. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით ფსიქოლოგიის კვალიფიკაციისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## *პროგრამის მიზანი:*

**ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:**

- ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის დარგებში (კოგნიტური, სოციალური, პიროვნების ფსიქოლოგია და სხვა); კერძოდ, საფუძვლიანად შეასწავლოს ფსიქოლოგიის დარგებში არსებული თეორიები და მოდელები, კონსტრუქტები, თეორიული და ემპირიული კვლევები;
- ფართო ცოდნა გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგებში (ორგანიზაციული, განათლების, იურიდიული ფსიქოლოგია და სხვა) კერძოდ შეასწავლოს ამ დარგებში არსებული მოდელები, კონსტრუქტები და ემპირიული კვლევები;

- შესძინოს ცოდნა, ფსიქოლოგიის შემადგენელი დისციპლინების განვითარების კანონზომიერებებისა და ტენდენციებს შესახებ;

**ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:**

- თეორიებისა და ემპირიული კვლევების ანალიზისათვის საჭირო უნარები;
- კვლევის მეთოდებისა და ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- კონკრეტული ცხოვრებისეული პრობლემების ანალიზისა და გადაჭრისათვის საჭირო უნარები;
- კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთავის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარი;

## *სწავლის შედეგები:*

ფსოქოლოგიის

საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ ექვს შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

**<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>**

**შედეგი 1.** - განმარტავს ფსიქოლოგიის დარგების კონსტრუქტებს, აღწერს თეორიებსა და მოდელებს, თეორიულ და ემპირიულ კვლევებს

**შედეგი 2.** - განმარტავს გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგების კონსტრუქტებს, აღწერს მოდელებსა და ემპირიულ კვლევებს;

**შედეგი 3.-** აღწერს ფსიქოლოგიის შემადგენელი დისციპლინების განვითარების კანონზომიერებებსა და ტენდენციებს.

<u>**ეწარი**</u>

**შედეგი 4.-** ადარებს სხვადასხვა ემპირიული კვლევების პროცედურებსა და შედეგებს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; ადარებს ფსიქოლოგიურ თეორიებს/მოდელებს და გამოაქვს დასკვნები მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ;

**შედეგი 5.-** იყენებს ფსიქოლოგიაში არსებულ კვლევის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს;

**შედეგი 6.** - ფსიქოლოგიაში შეძენილი თეორიული და ემპირიული ცოდნის საფუძველზე აანალიზებს კონკრეტულ ცხოვრებისეულ პრობლემებს და პოულობს შესაბამის გზებს მათ გადასაჭრელად;

**შედეგი 7.** - წინასწარ განსაზღვრილი ინსტრუქციის შესაბამისად და ხელმძღვანელობით ფსიქოლოგიის დარგში გეგმავს და ახორციელებს მცირე კვლევით ნაშრომის, მოიძიებს და მიმოიხილავს შესაბამის ლიტერატურას, აყალიბებს საკვლევ პრობლემას, მოიპოვებს მონაცემებს და შესაბამისი რაოდენობრივი ან/და თვისებრივი მონაცემების გამოყენებით აანალიზებს ემპერიულ მონაცემებს; გამოაქვს სათანადო დასკვნები. შესატყვისი ფორმით და არგუმენტირებულად წარმოადგენს საკუთარ ნაშრომს;

**შედეგი 8.** - თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და ფსიქოლოგიის დარგობრივი ტერმინოლოგიის დაცვით ეფექტურად აწარმოებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას პროფესიული და არაპროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან;

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u>

**შედეგი 9.** - აღიარებს და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; პროფესიულ საქმიანობას წარმართავს ეთიკური სტანდარტების დაცვით თემატურ დებატებში კორექტულად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს;

**შედეგი 10.** - კვლევის დაგეგმივსას იცავს ეთიკის სტანდარტებს, კვლევის მონაწილეთა ნების თავისუფლებასა და უვნებლობას.

| | |
|---|---|
| უმაღლესი განათლება: | ბაკალავრიატი |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | სოციოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Sociology |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | 3600 |
| პროგრამის ხელმძღვანელი: | რატი შუბლაძე |
| პროგრამის კოორდინატორი | ლევან ბუსქანძე<br>l.buskandze@gipa.ge<br>597491717 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

სოციოლოგიის  საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს,რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, უცხო ენად აქვს ჩაბარებული ინგლისური.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: უცხო ენა - ინგლისური.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

## *პროგრამის მიზანი:*

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის **მიზანია** სტუდენტს შესძინოს:

- თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სოციოლოგიის მიმართულებით;
- ფართო თეორიული ცოდნა სოციოლოგიის საფუძვლების, ძირითადი თეორიებისა და მიმართულებების შესახებ;
- ფართო ცოდნა და სპეციალური მომზადება სოციოლოგიის სხვადასხვა დარგში (განათლების, შრომის, ურბანული, ეკონომიკის, ჯანდაცვის, პოლიტიკის, გენდერის).

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- სოციოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარები;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

## *სწავლის შედეგები:*

**ცოდნა და გაცნობიერება:**

1. აღწერს და განსაზღვრავს სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგანსა და ამოცანებს, ძირითად ცნებებს, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ მიგნებებს, მათ შორის, სოციოლოგიის ძირითად მიმართულებებს (მიკრო და მაკრო სოციოლოგია) და მათთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მიდგომებს;

2. აყალიბებს სოციოლოგიის კლასიკური, მოდერნული, თანამედროვე და პოსტმოდერნული თეორიებსა და აზროვნების სკოლების ძირითად დებულებებს, იდეებს, არგუმენტებსა და გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსებებსა  და განსხვავებებს;

3. განარჩევს და აღწერს სხვადასხვა დარგობრივი სოციოლოგიის (განათლების, შრომის, ურბანული, ეკონომიკის, ჯანდაცვის, პოლიტიკის, გენდერის) სპეციფიკას, დარგში დაგროვებულ კვლევით გამოცდილებას, ძირითად აღმოჩენებსა და არსებულ გამოწვევებს;

**უნარი:**

4. აფასებს და აანალიზებს სოციალური მოვლენების გამომწვევ სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და გენდერული ფაქტორების ურთიერთკავშირის, თეორიულ  ასპექტებს აკავშირებს ემპირიულ კონტექსტთან და აიდენტიფიცირებს პროცესებში ჩართული სოციალური ჯგუფების ძირითად მახასიათებლებს;

5. წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად სრულყოფილად გეგმას და შეიმუშავებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დიზაინს, წარმართავს კვლევის პროცესს, აგროვებს მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე სოციოლოგიის კვლევის რელევანტური მეთოდების გამოყენებით აყალიბებს სათანადო დასკვნებს;
6. ზეპირი და წერითი კომუნიკაციის ინსტრუმენტებს გამოყენებით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან გამოხატავს საკუთარ კრიტიკულ მოსაზრებებს სოციოლოგიის სხვადასხვა თემასთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით, იდეების ანდა არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ  გადმოსცემს საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს.;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

7. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ამზადებს აკადემიური დარგის შესაბამის პრაქტიკულ და კვლევით ნაშრომს, კვლევის პროცესში იცავს სოციალური კვლევის ეთიკურ ნორმებს;

8. დამოუკიდებლად გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.

GIPA
In hoc signo vinces

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

# სოფლის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი

# შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლესი პროფესიული პროგრამა

| | |
|---|---|
| პროფესიული განათლება: | უმაღლესი პროფესიული პროგრამა (V დონე) |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში |
| კრედიტების რაოდენობა: | 120 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | სტუდენტის წლიური გადასახადი 500 ლარი |
| პროგრამის ხელმძღვანელი:<br>პროგრამის თანახელმძღვანელი: | თამარ დოლიძე<br>ნანა ქაშაკაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი | ლევან ყიფიანი<br>l.kipiani.hse19@gipa.ge<br>597 976797 |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს,რომელსაც ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ფარგლებში, ჩაბარებული აქვს წიგნიერება.

ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გარეშე, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

## *პროგრამის მიზანი:*

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამის **მიზანია** კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმს, შექმნის პირობებს ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

## *მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები*

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

სწავლის შედეგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით

1. შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა

2. შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები

3. შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი

4. შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები

5. დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთოების წესები

6. განახორციელოს ევაკუაციის პროცესები

7. გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება

8. გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები

9. აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება

10. შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა

11. განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი

12. დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება

13. აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება

14. აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

**საკვანძო კომპეტენციები და უნარები:**

- მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია;
- უცხო ენაზე კომუნიკაცია;
- მათემატიკური კომპეტენცია;
- ციფრული კომპეტენცია;
- დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები;
- მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა

**მართლმეტყველება:**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

1. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
2. დამოუკიდებლად გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.

# განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი უმაღლესი პროფესიული პროგრამა

| | |
|---|---|
| პროფესიული განათლება: | უმაღლესი პროფესიული პროგრამა (V დონე) |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი |
| კრედიტების რაოდენობა: | 116 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | სტუდენტის წლიური გადასახადი 500 ლარი |
| პროგრამის ხელმძღვანელი / თანახელმძღვანელი: | ნანა ქაშაკაშვილი<br>თორნიკე ბახტურიძე |
| პროგრამის კოორდინატორი | |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომლის ასაკი არანაკლებ 18 წელია და რომელსაც ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ფარგლებში, ჩაბარებული აქვს ფიზიკა.

ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გარეშე, განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

## *პროგრამის მიზანი:*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

## *მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები*

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

მთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს, ორგანიზება გაუწიოს და განახორციელოს განახლებადი ენერგიის მენეჯერის საქმიანობები;
2. აღწეროს და გამოიყენოს განახლებადი ენერგიის კანონმდებლობა და რეგულაციები;
3. შეაფასოს განახლებადი ენერგიის გარემოზე ზემოქმედება;
4. წარმართოს ელექტრული ქსელების, მოწყობილობების და მართვის სისტემების მონტაჟი და ოპერირება;
5. ზედამხედველობა გაუწიოს ელექტრული ქსელების, მოწყობილობებისა და მართვის სისტემების მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
6. დაგეგმოს და წარმართოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;
7. ზედამხედველობა გაუწიოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
8. დაგეგმოს და წარმართოს ქარის ენერგიის პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;
9. ზედამხედველობა გაუწიოს ქარის ენერგიის პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;
10. დაგეგმოს და წარმართოს მზის ელექტროენერგეტიკული (PV) პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;
11. ზედამხედველობა გაუწიოს მზის ელექტროენერგეტიკული (PV) პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;

12. დაგეგმოს და წარმართოს მზის წყალგამაცხელებელი ენერგეტიკული სისტემების მონტაჟი და ოპერირება;

13. ზედამხედველობა გაუწიოს მზის წყალგამაცხელებელი ენერგეტიკული სისტემების მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;

14. დაგეგმოს და წარმართოს გეოთერმული ენერგეტიკის პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;

15. ზედამხედველობა გაუწიოს გეოთერმული ენერგეტიკის პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს;

16. დაგეგმოს და წარმართოს ბიომასის ენერგეტიკის პროექტების მშენებლობა, მონტაჟი და ოპერირება;

17. ზედამხედველობა გაუწიოს ბიომასის ენერგეტიკის პროექტების მშენებლობის, მონტაჟის და ოპერირების პროცესებს.

**საკვანძო კომპეტენციები და უნარები:**

- მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია;
- უცხო ენაზე კომუნიკაცია;
- მათემატიკური კომპეტენცია;
- ციფრული კომპეტენცია;
- დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები;
- მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა

**მართლმეტყველება:**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;

- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

3. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
4. დამოუკიდებლად გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით

# ენერგომენეჯმენტის უმაღლესი პროფესიული პროგრამა

| | |
|---|---|
| პროფესიული განათლება: | უმაღლესი პროფესიული პროგრამა (V დონე) |
| სწავლების ენა: | ქართული |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში |
| კრედიტების რაოდენობა: | 116 კრედიტი |
| 1 წლის სწავლის საფასური: | სტუდენტის წლიური გადასახადი 500 ლარი |
| პროგრამის ხელმძღვანელი:<br>პროგრამის თანახელმძღვანელი: | ქეთევან რუხაძე<br>გიორგი აბულაშვილი |
| პროგრამის კოორდინატორი | |

## *პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*

ენერგომენეჯმენტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომლის ასაკი არანაკლებ 18 წელია და რომელსაც ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ფარგლებში, ჩაბარებული აქვს მათემატიკა.

ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გარეშე ენერგომენეჯმენტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ენერგომენეჯმენტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

## *პროგრამის მიზანი:*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგო ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

## *მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები*

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. აღწეროს და გამოიყენოს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ტექნიკური ნორმები
2. გააანალიზოს და შეაფასოს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების ენერგოეფექტურობა
3. განსაზღვროს შენობების ენერგოეფექტურობა
4. შეაფასოს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობები და ეფექტიანობა
5. უზრუნველყოს ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილების მართვა
6. გააანალიზოს და შეაფასოს სამიზნე ჯგუფების ინტერესები და საჭიროებები

**საკვანძო კომპეტენციები და უნარები:**

- მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია;
- უცხო ენაზე კომუნიკაცია;
- მათემატიკური კომპეტენცია;
- ციფრული კომპეტენცია;
- დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები;
- მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა

**მართლმეტყველება:**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

5. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, მითითების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
6. დამოუკიდებლად გეგმავს სამომავლო პროფესიულ საქმიანობას სწავლის გაგრძელებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით.